ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

შაბათი, 28 დეკემბერი, 2021 №246 (8775) ფასი: 60 თეთრი


გვ.5

## აკო ჭელიძემ ნიკო კვარაცხელიას მკვლელობა აღიარა

## თამუნა ანთელავას მკვლელობისთვის დაკავებული სოსო გაბრიაძე ციხიდან გამოუშვეს


გვ.5

# „3 პრეზიდენტის შეხვედრა ბუნებრივ და იოლ ნაბიჯად მიმაჩნია“


გვ.2

მარგველაშვილი: „სააკაშვილის, ხაზარაძის, მელიას და გვარამიას საქმეებზე მორატორიუმი უნდა გამოცხადდეს“



## „ყველანაირი ამნისტია დაუშვებელია!“


გვ.2

ანა დოლიძე: „სიმართლე უნდა დადგინდეს სააკაშვილის მმართველობასთან დაკავშირებით. ამას 2012 წლიდან ვითხოვ მე“


გვ.3

## „ოცნებას“ საკუთარი ჩრდილისაც კი ეშინია“

შოთა მალაშხია: „ქვეყანაში ორი დამოუკიდებელი ინსტიტუტი დარჩა და ერთს ხელისუფლება აუქმებს“

## „კობახიძის უტიფრობა და ცინიზმი ივანიშვილს მოსწონს“


გვ.3

პაატა ზაქარეიშვილი: „ლონდა თოლორაია მოიშორეს, რადგან კრიტიკულ სიტუაციაში მოიქცა, როგორც პროფესიონალი“

## „ჩემი სამსახურის გაუქმებას რამდენიმე მიზეზი აქვს“

ლონდა თოლორაიამ 2 კვირის წინ შვილი გააჩინა


გვ.4


გვ.4

## „ქართული ოცნება“ ერთხელ უკვე აღმოჩნდა თავისი დანაპირების მძევალი“

ლევან ალაფიშვილი: „რუსეთს საქართველოში თავისი ამბიციები ღიად ექნება მანამ, სანამ დასავლეთი ამის საშუალებას მისცემს“

ISSN 1987-9385

9 771987 938006

4 ზურაბ აზარაშვილმა ქალიშვილს 250.000 ლარის ღირებულების ბინა აჩუქა
რა ქონება აქვს ჯანდაცვის ახალ მინისტრს

5 ირაკლი ლექავას და 6 ქართველს ათენის სასამართლო ასამართლებს

5 „ჩავიხადე შარვალი და 12 წლის ბიჭთან სექსის დამყარებას ვცდილობდი“
რა წერია 40 წლის მამაკაცის ჩვენებაში

5 „გირჩი — მეტი თავისუფლების“ წევრს, გოგიტა რობიტაშვილს, თავს დაესხნენ

# „ყველანაირი ამნისტია დაუშვებელია!“

## ანა დოლიძე: „სიმართლე უნდა დადგინდეს სააკაშვილის მმართველობასთან დაკავშირებით. ამას 2012 წლიდან ვითხოვ მე“

იაგო ნაცვლიშვილი

**როგორ გაიგო თავდაცვის მინისტრის მოადგილის ჯანდაცვის მინისტრად დანიშვნა და რას აჩვენებს ბოლო პერიოდის საკადრო პოლიტიკა? რა შთაბეჭდილება დარჩა პრეზიდენტთან შეხვედრის დროს და მას როგორ წარმოუდგენია ეროვნული შერიგება? — ამ და სხვა აქტუალურ კითხვებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარტია „ხალხისთვის“ ლიდერი ანა დოლიძე საუბრობს.**

***– ჯანდაცვის მინისტრად დაინიშნა თქვენი ყოფილი კოლეგა, ადამიანი, რომელიც თავდაცვის მინისტრის მოადგილე იყო და ჯანდაცვის უწყების ხელმძღვანელად წარმოგვიდგინეს. როგორ აფასებთ ამას და რას ნიშნავს თქვენთვის ეს გადაწყვეტილება?***

– ეს არის კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ ეს ქვეყანა იმართება, როგორც ბანკი და არა როგორც სახელმწიფო. ეს არის მორიგი ადამიანი, რომელსაც არანაირი შეხება არ ჰქონია იმ სფეროსთან, რომლის სამართავადაც წაიყვანეს. თან ეს არის იმ დროს, როდესაც ეს არის კოვიდთან ბრძოლის მესამე წელიწადი, უფრო სწორად, ფიასკოს, არა ბრძოლის, არამედ ბრძოლაში ჩავარდნის წელიწადი. ამ პირობებში ნიშნავენ ადამიანს, რომელმაც 6 თვის განმავლობაში ჯერ უნდა ისწავლოს. ხომ ვიცით, ეს რასაც ნიშნავს?! ჯერ მიიყვანეს თავდაცვის სამინისტროში, მაშინ როდესაც, მარტო საბანკო სფეროში ჰქონდა გამოცდილება და ახლა მოჰყავთ სფეროში, სადაც არაფერი არ იცის. 6 თვე ჯერ უნდა ისწავლოს, რა ხდება ჯანდაცვის სამინისტროში და ეს სწორედ ის თვეებია, როდესაც ჩვენ ევროპაში მაჩვენებლებით უკვე ბოლოში ვართ კოვიდთან ბრძოლის მიმართებაში.

ტიპიური გადაწყვეტილებაა – მთავარია დავნიშნოთ ის ხალხი, რომელიც მართავს სახელმწიფოს, როგორც „ქართუ ბანკს“. გადაწყვეტილება, რომელმაც ჩვენი ქვეყნისთვის ეს სტრატეგია მოიტანა, ძალიან ცუდი შედეგები ყველა მიმართულებით.

***– მთავარი ბანკირი პრემიერია თუ ბიძინა?***

– არა, ბიძინა არის მთავარი ფინანსისტი. ბანკირი და ისიც არცთუ ისე მაღალი დონის არის პრემიერი და ძალიან ბევრი მიმართულებით ჩვენ სახელმწიფოში ნახავთ თანამდებობის პირებს, რომლებიც მოდიან „ქართუ ბანკიდან“. ანუ იცნობენ ლარიბაშვილს ან თავად ივანიშვილს და ამიტომ მოხვდნენ აქ. ეგ არის ძალიან სავალალო ჩვენი ხალხის ინტერესებისთვის.

***– სამთავრობო ცვლილებების ბოლო ტენდენცია რას აჩვენებს? მათ შორის აქ მოვიაზრებ პარლამენტის თავმჯდომარის ცვლილებასაც.***



– სანამ არ გამოჩნდება კუჭავას ასავალ-დასავალი, იქამდე ძნელია კომენტარის გაკეთება. შეიძლება იყო უფრო ზრდილობიანი და ღია განსხვავებული აზრის მიმართ, ასე ხასიათდება კუჭავა, იმის იქით მას არაფერი გაუკეთებია. მთავარია ეფექტურობა და საქმე, მაგრამ რეალურად დღეს პარლამენტი ერთპარტიულია. არავის განსხვავებულს იქ არ უსმენენ, მერე რა, რომ გამარჯობას გეუბნებიან.

**„რას ნიშნავს ეროვნული თანხმობა. ამის არსი ჩახუტება არ არის“**

რაც შეეხება სამთავრობო ცვლილებებს, ტიკარაძეს ასევე ძალიან ბევრი ჩავარდნა ჰქონდა. ეს არის წარუმატებელი მინისტრი, განსაკუთრებით კოვიდის დროს. მნიშვნელოვანია, ხალხმა გაიგოს, რომ ის სიღარიბე, რომელშიც ჩვენ მოვხვდით, ეს არის ჯანდაცვის პოლიტიკის ბრალი. თუმცა, დიდი ცვლილება არც პოზიტიური და არც ნეგატიური ჩვენ არ გვექნება, რადგან პოლიტიკა და სინერგია ამ ქვეყანაში იგეგმება სულ თავიდან. ეს არის ბიძინა ივანიშვილის ხელწერა, სხვა ყველა დავალებების შემსრულებელია.

***– შეხვდით პრეზიდენტს, რა შთაბეჭდილება დაგრჩათ. ეს არის რეალური დიალოგის დასაწყისი თუ მორიგი იმედგაცრუება გველოდება?***

– მე ვთქვი კიდევაც, რომ ეს არის ძალიან რთული სფერო, რა სფეროშიც არის ეს ინიციატივა. გუშინწინ გარდაიცვალა სამხრეთ აფრიკის სიმართლის და შერიგების კომისიის სულის ჩამდგმელი დესმონდ ტუტუ, მსოფლიო დონის პოლიტიკოსი. ამ რაღაცის გაკეთებას სხვა ტიპის პოლიტიკური კაპიტალი და ხედვა სჭირდება. მაგრამ, მზად ვარ, რომ ვინც არ უნდა დაიწყოს ეს პროცესი, მივეხმარო. ამიტომ შევხვდი მე ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს, თუმცა რა იქნება აქედან და რა გამოვა, ეს დღეისთვის არ ვიცით. ჯერჯერობით ვხედავთ შეხვედრებს ძალიან ბევრ ადამიანთან, მოქმედ პოლიტიკოსთან, არამოქმედთან თუ არარსებულ პოლიტიკოსებთან.

***– სწორია ეს?***

– არ ვიცი. რა მიზანს ემსახურება, გავიგებთ. სიმართლის და შერიგების კომისიას თუ ვაკეთებთ, მაშინ ის უნდა შეხვდეს პირველ რიგში დაზარალებულებს. უნდა მოვიდნენ და მოყვნენ. ჯერჯერობით ეს არ გვინახავს. ვხედავთ სხვადასხვა საჯარო პირებთან კონსულტაციებს, მაგრამ შესაძლოა ეს შესავალია. ამიტომ, ინიციატივა როგორ გამოიყურება, მართალი გითხრათ, ჯერ არ ვიცით. მარტო ვიცით ზრახვა.



მე ვთქვი, რომ იმ პირობებში, როდესაც ჩვენ ქვეყანას ძალიან სერიოზული პრობლემა აქვს გადასაწყვეტი, თუნდაც ტრანსპორტის გადასახადის გაორმაგება, მე არავითარ პროცესს არ შევუწყობ ხელს, სადაც იქნება გაუგებარი რაუნდები. თუ დავინახავთ საქმეს, ეს გამოჩნდება.

***– ბევრი კითხვის ნიშანია, რას ნიშნავს ეროვნული თანხმობა. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ? ვგულისხმობ, არის საუბარი იმაზე, რომ უნდა ვაპატიოთ დანაშაულები ამ ხელისუფლების წარმომადგენლებსაც და წინა ხელისუფლებისასაც, მაგრამ უნდა ვაპატიოთ სამუდამოდ თუ თავისუფალი სასამართლო უნდა შევქმნათ და იქამდე მორატორიუმი გამოვაცხადოთ? ასეთი მოსაზრებაცაა, რომ ამან შეიძლება შემდეგ ხელისუფლებას გაუხსნას ხელ-ფეხი და თქვას, რომ დანაშაული „მოსულა“.***

– იმდენი ითქვა ამ შერიგებაზე იმის გარეშე, რომ ვინმეს დაეკონკრეტებინა, რას გულისხმობს, რომ ყველაფერი ჩატენეს შიგნით. სოსისი ხომ არაა, რომ ყველაფერი შეტენო?! თან პატიება, თან ამნისტია, თან სიმართლე და თან სასამართლო რეფორმა.

მე ვფიქრობ, რომ ყველანაირი ამნისტია დაუშვებელია. თუ საუბარია ვინმესთვის პატიებაზე, ეს პატიება ხდება მხოლოდ აღიარებით და ყველა საერთაშორისო პროცესი და გამოცდილება ამას მიუთითებს. ამის არსი ჩახუტება კი არ არის, არამედ ის, რომ ეს სისტემური პრობლემები არ განმეორდეს. თუ არ აღიარეს მხარეებმა, რომ ეს იყო, მაშინ ეს განმეორდება.

მთავარია ის, ვინ არიან მხარეები. საერთოდ რა შუაში ვართ ის პოლიტიკოსები, ვისაც გვხვდება სალომე ზურაბიშვილი? ჩვენ ხომ არ ვართ მხარე?! მე ვარ მხარე იმ გაგებით, რომ მამაჩემი დაჭერილი ჰყავდათ და აწამეს კიდეც ზვიად გამსახურდიას გადაგდების შემდეგ. ამ სიტუაციაში შემიძლია ვილაპარაკო როგორც მხარემ, როგორც ე. წ. ზვიადისტის შვილმა და ვინმეს მივუტევო. მაგრამ, ჩვენ არ გვითხრეს, ვინ ვის ურიგდება. თუ სიმართლესა და შერიგებაზეა ლაპარაკი, ჩვენ უნდა გამოვკვეთოთ მხარეები. სააკაშვილის ეპოქასთან მიმართებაში ეს მხარეები არ ჩანან. არ გამოუყვანია არავის და არავინ იცის, რას ფიქრობენ. მანამდე კი ეს, უბრალოდ, პოლიტიკური კონსულტაციებია და შორს არის შერიგების პროცესისგან. შერიგების პროცესის კონტურები რომ გამოჩნდება, მერე შეგვიძლია განვიხილოთ ეს საკითხი.

***– თქვენ სააკაშვილის უაპელაციო შეწყალების მომხრე არ ხართ?***

– მე ვფიქრობ, რომ სიმართლე უნდა დადგინდეს სააკაშვილის მმართველობასთან დაკავშირებით. ამას 2012 წლიდან ვითხოვ მე. ახლა ამის წამოწევა იმის აღიარებასაც ნიშნავს, რომ მანამდე არ გაკეთდა. რატომ არ გაკეთდა? ამ თემაზე სიმართლე რომ თქმულიყო 2012-13 წლებში, კლანს ხომ არ მივიღებდით?! თუ ვინმე თვლის, რომ ახლა, როდესაც სასამართლო კლანი გადმოიბირეს და ახლა დაიწყებენ სისხლიანი 9 წლის გამოძიებას, ეშლება და ამის საშუალებას მე არ მივცემ. ჩვენი ამოცანა ისტორიული სიმართლის თქმაა. მაშინ ისიც უნდა ვთქვათ, რომ კლანი შექმნა სააკაშვილმა და მერე ეს კლანი ივანიშვილმა ჩაიყენა თავის სამსახურში. ეს არის ისტორიული სიმართლე.

***– მიზანმიმართული პროცესი გგონიათ?***

– არ ვიცი. მე ვიცი ერთი რამე, რომ ეს იდეა ახლა არ შექმნილა. მეგის ქარდავა ახლა ხომ არ გამხდარა დასაჭერი?! მაგაზე 2013 წლიდან ძებნა იყო გამოცხადებული. რატომღაც ხელისუფლებაში ყოფნის მეცხრე წელს გაახსენდათ იქ სიმართლის კომისია და იქ ქარდავას ჩამოყვანა. მომავალ წელს ალბათ დათა ახალიას ჩამოიყვანენ. იმისთვის, რომ ვიღაცამ ეს გამოიყენოს პოლიტიკური ამოცანებისთვის, ამის საშუალებას არ მივცემ.

***– ანუ, თანმიმდევრულობა უნდა იყოს – ჯერ თავისუფალი სასამართლო და შემდეგ დაიწყოს ეს პროცესი?***

– სხვადასხვაა. ეს პროცესი ცალკეა და სასამართლო რეფორმა ცალკე. სასამართლო რეფორმას პრეზიდენტი ვერ გააკეთებს. ამის არავითარი პოლიტიკური საშუალება მას არ აქვს, ეს უნდა გააკეთოს შემდეგმა ხელისუფლებამ, რომელიც არ იქნება „ოცნება“ და ექნება ამის სურვილი. სიმართლის პროცესი ახლა შეიძლება წავიდეს, თუ ექნებათ მხარეებს სურვილი, რომ ამაზე ისაუბრონ, ოღონდ ამაში მონაწილე უნდა იყოს ხალხი და არა რამდენიმე თაობის პოლიტიკოსები. ეს ცოტა გაუგებარია.

# მარგველაშვილი: „3 პრეზიდენტის შეხვედრა ბუნებრივ და იოლ ნაბიჯად მიმაჩნია“

## „სააკაშვილის, ხაზარაძის, მელიას და გვარამიას საქმეებზე მორატორიუმი უნდა გამოცხადდეს“

საქართველოს მეოთხე პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის შეფასებით, მიხეილ სააკაშვილი პუტინის პირადი პატიმარია.

ამის შესახებ გუშინ, 27 დეკემბერს, მარგველაშვილმა გორში, სამხედრო ჰოსპიტალში სააკაშვილის მონახულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც მარგველაშვილმა აღნიშნა, სწორედ პუტინის პირადი ინტერესია, რომ სააკაშვილი იყოს „ქართველების მიერ დაპატიმრებული და გამოკეტილი“.

– ადამიანი, რომელიც აქ არის პატიმრობაში, ჩემთვის ხაზგასმით არის პუტინის პატიმარი და ამას თვალი უნდა



გავუსწოროთ. ის არის საქართველოში პუტინთან დაპირისპირებაში ერთ-ერთი გამორჩეული ადამიანი, პოლიტიკოსი არა მარტო საქართველოს კონტექსტში, არამედ სხვა თვალსაზრისითაც. რამდენიც არ უნდა გვქონდეს ერთმანეთთან უთანხმოებები, წარსულში ან მომავალში, პუტინის უმთავრეს ინტერესშია, რომ ეს ადამიანი იყოს ქართველების მიერ დაპატიმრებული და გამოკეტილი. ეს არის ჩემი პირადი შეფასება ამ ვითარების, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ვისაუბრეთ, – განაცხადა მარგველაშვილმა.

ამასთან, მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ შესაძლოა, „ქართული ოცნების“ და ბიძინა ივანიშვილის მიზანი მიხეილ სააკაშვილის პატიმრობა სულაც არ იყოს.

– მაგრამ ერთადერთი აქტორი მთელ ამ პროცესში, რომლისთვისაც ეს მხოლოდ წარმატებაა და დადებითის მომტანია, ამასთან, არავითარი ფასის გადახდაც არ უხდება ამაში, ეს არის რუსეთი და პუტინი. ვუშვებ იმ შესაძლებლობას, რომ „ქართულ ოცნებას“ შესაძლებელია არც აწყობს ასეთი დაძაბულობის კერა, მაგრამ ის, ვისაც ნამდვილად აწყობს და მოსწონს ეს, არის ჩვენი ქვეყნის ჩრდილო მეზობელი, – განაცხადა მარგველაშვილმა.

მეოთხე პრეზიდენტმა ასევე ისაუბრა სამი პრეზიდენტის შეხვედრის საჭიროებაზე და აღნიშნა, რომ სამი პრეზიდენტის შეხვედრის ფორმატმა ქართველ ხალხს გზავნილი უნდა გაუგზავნოს, რომ საერთო დაპირისპირების, საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანებულები ვიქნებით.

– ორივე ვთანხმდებით, რომ ძალიან სერიოზული გამოწვევის წინაშე არის საქართველო. ჩვენ მიგვაჩნია, რომ პრეზიდენტების და მთავარსარდლების გაერთიანება და შიდა დაპირისპირების თვალსაზრისით ტემპერატურის დაწევა, რომელიც სალომე ზურაბიშვილის მიერ არის ინიცირებული, უაღრესად მისასალმებელი, დროული და მხარდასაჭერია. ამ თვალსაზრისით, ჩვენ კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვით და გამოვხატეთ ორივემ მზაობა, რომ როდესაც ვსაუბრობთ ახალი ფურცლის გადაშლაზე, ახალი ტრადიციის შექმნაზე, ახალი გამოწვევების მზადყოფნაზე, ბუნებრივი იქნებოდა ჩავატაროთ სამი პრეზიდენტის ფორმატი.

სამი პრეზიდენტის ფორმატმა, ყველა განსხვავებულობის მიუხედავად, თუ რა დამოკიდებულება გვაქვს სამივეს ერთმანეთის მიმართ, ქართველ ხალხს უნდა გაუგზავნოს გზავნილი, რომ საერთო დაპირისპირების, საერთო მტრის წინააღმდეგ ჩვენ ყოველთვის ვერთიანდებოდით და ვიქნებით გაერთიანებულები, მიუხედავად იმისა, რომ შევინარჩუნებთ განსხვავებულობებს და, შესაძლოა, სხვადასხვა პოლიტიკურ პრეფერენციებსაც, – განაცხადა მარგველაშვილმა.

მას სამი პრეზიდენტის შეხვედრა ბუნებრივ და იოლ ნაბიჯად მიაჩნია.

– აბსოლუტურად ლოგიკურად მიმაჩნია ასეთი შეხვედრა. არ მესმის ხოლმე ამ საკითხის მიმართ აღმატებული შეუძლებლობის ხარისხის მინიჭება. რაზე ვსაუბრობთ? – ქალბატონმა სალომემ აჩვენა ნამდვილად სრული გახსნილობა ოპოზიციასთან საურთიერთოდ. ამ წუთებშიც ხვდება ის ოპოზიციის ლიდერებს და, ბუნებრივია, რომ სამი პრეზიდენტის შეხვედრაც

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „კობახიძის უტიფრობა და ცინიზმი ივანიშვილს მოსწონს“

## პაატა ზაქარეიშვილი: „ლონდა თოლორაია მოიშორეს, რადგან კრიტიკულ სიტუაციაში მოიქცა, როგორც პროფესიონალი“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტ-კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.**

***– ბატონო პაატა, ცვლილებებით მთავრდება ეს წელი, ახალი ჯანდაცვის მინისტრი წარადგინა გუშინ პრემიერმა, თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე ზურაბ აზარაშვილი. როგორია თქვენი შეფასებები?***

– საინტერესოა. ნახეთ რა ხდება, ძალოვანი სტრუქტურებიდან წამოსული კადრებით აძლიერებენ სამინისტროებს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩემს ყოფილ სამინისტროშიც ასევე პროკურორი დანიშნეს მოადგილედ, აშკარად ჩანს, რომ ძლიერდება ძალოვანი სტრუქტურები და, რა თქმა უნდა, ეს არ არის კარგი, იმიტომ, რომ ეს ადამიანები არ არიან პოლიტიკოსები და არ არიან დემოკრატიულ მმართველობაზე ორიენტირებულები. ამიტომ ეს სახიფათო ტენდენციაა, რომელიც მკაფიოდ გამოკვეთილია.

***– მედიცინასთან შეხება არ აქვს, მაგრამ კარგი მენეჯერიაო. ყველაზე დიდბიუჯეტიანი სამინისტროა და კარგად გაუძღვებაო. ეს სწორი დამოკიდებულებაა?***

– კი ბატონო, გასაგებია ეს ყველაფერი, მაგრამ ძალოვნებიდან რომ მიდიან და არა პოლიტიკიდან, ან თუნდაც ბიზნესიდან, ეს ნამდვილად არ არის კარგი ვარიანტი. ის, რომ პოლიტიკაში არ არიან ისეთი კადრები, ვისაც შეუძლია ჯანდაცვის პოლიტიკა განსაზღვროს, ეს ძალიან დამაფიქრებელია. აშკარად ჩანს, რომ „ქართული ოცნება“ დაცლილია პოლიტიკოსებისგან და ძლიერდება ძალოვანი სტრუქტურებისგან და ეს არის თვალში საცემი ტენდენცია, რაც იკვეთება ასეთი დანიშვნების დროს.

***– ვერ გაამართლა ტიკარაძემ თუ მართლა დაპირისპირება მოხდა პრემიერსა და მას შორის?***

– როგორც ჩანს, ასე იყო. ყოველ შემთხვევაში, ასე იგრძნობა გარედან.

***– ბოლო პერიოდში საკმაოდ მწვავე განცხადებებს აკეთებს ტიკარაძე. კლინიკებში კოვიდისგან არ იღუპებიან, ჰოსპიტალური ინფექციებისგანო, განაცხადა გუშინ. ეს საკმაოდ სკანდალური განცხადებაა. ალაპარაკდება ტიკარაძე?***

– კარგია, რომ თვალსა და ხელს შუა ტიკარაძე ნელ-ნელა პოლიტიკოსი გახდა. ვიდრე მინისტრი იყო, ჯობდა მაშინ გადაედგა თამამი ნაბიჯები და მაშინ ელაპარაკა კიდევაც. როცა წასვლის დროს ამბობ, ცოტა გაბრაზებული ადამიანის შთაბეჭდილება შეიძლება დატოვოს. ამას კი გამოიყენებენ მის წინააღმდეგ, წავიდა და ახლა ლაპარაკობსო. ამიტომ უნდა თქვას, რას აკეთებდა მანამდე. უნდა თქვას, რატომ დასჭირდა ახლა, წასვლის დროს კრიტიკული განცხადებების გაკეთება? რა, მანამდე ყველაფერი წესრიგში იყო?! ის, რომ ტიკარაძემ ეს ნაბიჯი გადადგა, ნამდვილად მისასალმებელია. კარგი იქნება თუ პოლიტიკაში დარჩება. „ქართულ ოცნებაში“ თუ დარჩება, მაშინ უნდა აჩვენოს, რა ცვლილებები უნდოდა. ითქვა, რომ პოლიტსაბჭოში რჩებაო. კუჭავასაც იქ უშვებენ და რა, პოლიტსაბჭო პენსიაზე გაშვებულების თავშეყრის ადგილია?!

***– კუჭავა ახსენეთ და გასულ კვირას მანაც დატოვა პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი. შიდა დაპირისპირებაზე მიდის საუბარი ღარიბაშვილსა და კობახიძეს შორის და პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელიც ამას შეეწირა?***

– რა თქმა უნდა, ეს ძალიან დამაფიქრებელი მომენტია. დღეს კობახიძე პოპულარული არ არის და შესაძლოა, ღარიბაშვილს იმედი



გაუჩნდა, რომ პოზიციები გაიმყაროს და დაიწყო თავისი ხალხის დანიშვნა ძალოვანი სტრუქტურებიდან, რათა უზრუნველყოს თავის თავის დაცვა. გარშემო რომ მისი კადრები იქნებიან, თავს კარგად დაიცავს. აი კობახიძეს კი კადრები არა ყავს, კობახიძე მხოლოდ ივანიშვილის მხარდაჭერით სარგებლობს და მისი თავხედობა, უტიფრობა და ცინიზმი, როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილს მოსწონს.

***– პაპუაშვილი კობახიძის კადრიაო, ასეა?***

– მეც ასე მგონია. უცხოეთში ნამუშევარია და იურისტია. ვნახოთ, პაპუაშვილი როგორ იმუშავებს, თუმცა აქ მთავარი არ არის პაპუაშვილი, ისინი ეძებენ ისეთ ხალხს, ვინც პირნათლად შეასრულებს გუნდის წინაშე დამდგარ ამოცანებს. როგორც ჩანს, ვერც კუჭავამ და ვერც თალაკვაძემ ამას თავი ვერ გაართვეს. თალაკვაძეც ძალიან უცნაურად გაუშვეს. ბევრს ლაპარაკობდნენ ჯანდაცვის მინისტრად დაინიშნებაო და საბოლოო ჯამში, მინისტრობაც კი არ მისცეს. აშკარად იყო მის კანდიდატურაზე ლაპარაკი. გამოდის, რომ თალაკვაძეს ორჯერ უარი უთხრეს, ის ორჯერ არმიღებული ადამიანია. ჯერ იყო და ძალიან მალე გაუშვეს პარლამენტის თავმჯდომარეობიდან და მინისტრადაც დაიწუნეს. უნდა იყო თავხედი, ხისტი, ფეხებზე დაიკიდო საზოგადოების და ოპოზიციის ინტერესები, ვერც თალაკვაძემ და ვერც კუჭავამ ეს ვერ გაქაჩა. ანუ არანაირი ადამიანური თვისებები არ უნდა გამოავლინო, ეს ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. ეს კი ძალიან დამაფიქრებელია.

***– რამდენად გაგრძელდება ცვლილებები და რამდენად არის იმის შანსი, რომ ღარიბაშვილიც შეიცვალოს?***

– მე მგონია, რომ ღარიბაშვილი, პირიქით, პოზიციებს იმყარებს. ძალოვნებში კობახიძეს არა აქვს არანაირი გავლენა. ღარიბაშვილს კი – დიდი. მე მაინც მგონია, რომ ღარიბაშვილი და კობახიძე ერთ თამაშს თამაშობენ. ისინი ერთმანეთს აბალანსებენ. კობახიძე ადგენს პოლიტიკურ დღის წესრიგს და ღარიბაშვილიც მიყვება მას. ამ ორის ტანდემში კობახიძე არის წამყვანი. კობახიძე კარნახობს ღარიბაშვილს ვითარებას. კი არ უბრძანებს, მაგრამ დიპლომატიურად თამაშობს. ღარიბაშვილიც ხვდება, რომ ჯობს ეს შემოთავაზება მიიღოს. კობახიძეც გარკვეულწილად უფასებს ამას და თანხმდება მისი კადრების დაწინაურებას.

***– რას იტყვით სახელმწიფო ინსპექტორის ინსტიტუტის გაუქმებაზე?***

– ეს ძალიან სკანდალური ამბავია. ლონდა თოლორაია მოიშორეს, იმიტომ, რომ კრიტიკულ სიტუაციაში მოიქცა, როგორც პროფესიონალი. როდესაც მან ნახა, რომ ვინმე პატიმარ სააკაშვილის უფლებები ირღვევა, ამაზე ღიად განაცხადა, აი რა არ აპატიეს. ინსტიტუტის გაუქმება იმიტომ, რომ ადამიანი გადააყოლონ, პირველად არ ხდება. ეს არის თვალშისაცემი და უტიფარი ქცევები. ინსტიტუტს აუქმებენ, რათა ადამიანი გადააყოლონ და ადამიანი გააუქმონ, ისე ვერ აუქმებენ ადამიანს. ეს კი არის ავტორიტარული მმართველობის მშვენიშერი მაგალითი.

# „ოცნებას“ საკუთარი ჩრდილისაც კი ეშინია“

## შოთა მალაშხია: „ქვეყანაში ორი დამოუკიდებელი ინსტიტუტი დარჩა და ერთს ხელისუფლება აუქმებს“

მარიამ მჭედლიშვილი

**დიდი ხმაური მოჰყვა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების გადაწყვეტილებას. სამსახურის ადგილზე ორი უწყება იქმნება. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარეს, შოთა მალაშხიას.**



***– გადაწყვეტილება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების შესახებ ბევრმა აღიქვა თავდასხმად ერთ-ერთ დამოუკიდებელ სახელმწიფო ინსტიტუტზე. თქვენ რას იტყვით?***

– ფაქტია, რომ ხელისუფლებას ძალიან შეეშინდა. სახელმწიფოში ორი დამოუკიდებელი ინსტიტუტი დარჩა და ხელისუფლება ერთს აუქმებს. ერთი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური იყო, მეორე – სახალხო დამცველი. ყველა დანარჩენი სამსახური, პროკურატურით და პოლიციით დაწყებული, პარლამენტითა და მთავრობით დამთავრებული, დიდი ხანია გადაქცეულია ბიძინა ივანიშვილის მომსახურების ბიუროებად. სასამართლო არც მანამდე იყო დამოუკიდებელი და არც ახლაა. რჩება სახალხო დამცველი და მისი ოფისი.

***– მას ვერაფერს უზამენ?***

– სახალხო დამცველს თავისი აპარატიანად ვერ გააუქმებენ, ვერ დაშლიან. ამისი სურვილი აქვთ, მაგრამ ვერ ასრულებენ. სახალხო დამცველზე ახორციელებენ შეტევებს. მასზე მუდმივი თავდასხმებია. ორივე ინსტიტუტი ლაპარაკობს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის უფლებების დარღვევაზე. აგერ, კახა კუჭავამ მოინდომა გაფაფხურება და პარლამენტის თავმჯდომარეობიდან გადააყენეს.

***– თვითონ ამბობს, რომ ცდილობდა, ყველას პარლამენტის თავმჯდომარე ყოფილიყო. თქვენ რას უკავშირებთ მის წასვლას თუ გადაყენებას?***

– კუჭავა ცდილობდა, მეტ-ნაკლებად ყოფილიყო მისაღები, კონტაქტური დასავლეთთანაც, ქვეყნის შიგნითაც. რეალურად, უფლებები არ ჰქონდა, თუმცა, მაინც პარლამენტის თავმჯდომარე ერქვა და ეცადა, თავისი სიტყვა ეთქვა. განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია. ამათ ასეთები არ უნდათ. ურჩევნიათ, ყველგან იყვნენ მონურად მორჩილი ოდიოზური ფიგურები. იმით, რომ კუჭავამ დეპუტატის მანდატიც დატოვა, მისი ღირსება გამოჩნდა.

***– გამოითქმის ვერსია, რომ მას პრემიერად უშვებენ.***

– პირადად მე არა მგონია, ასე იყოს. თუ კუჭავა ასეთ მობრუნებას დათანხმდა, მაშინ მის ღირსებაზე ლაპარაკი ზედმეტია. თუ კუჭავა თანამდებობაზე დაინიშნა, გამოდის, რომ იმაზე უარესი ყოფილა, ვიდრე ვფიქრობდით.

> **„იმდენად დაკარგული აქვს ნდობა ხელისუფლებას, კარგიც რომ მოინდომოს, ესეც ცუდად აღიქმება“**

***– „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოში ხომ დარჩა?***

– ეს უფრო ფორმალობა მგონია. პოლიტსაბჭოში იმიტომ დარჩა, რომ მისი წასვლა არ ყოფილიყო დემონსტრაციული. ასეთი გმირიც არ არის. კუჭავამ ვერ გაბედა, გაეპროტესტებინა 2020 და 2021 წლის არჩევნების შედეგი. რეალურად, ეს არჩევნები არ ყოფილა. ეს იყო ხელისუფლების მიტაცება და ხმების მოპარვა.

***– პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის ინიციატივით გამოცხადებულ თანხმობის პროცესზე რისი თქმა შეიძლება?***

– ზოგიერთი ისევ ხმარობს სიტყვას „შერიგება“. ეს ტერმინი არასწორია. შესაძლებლად მიმაჩნია შეთანხმება გარკვეულ პრინციპებზე. მაგალითად, ნორმალურ, სამართლიან არჩევნებზე, დამოუკიდებელ სასამართლოზე. სიტყვაზე, თქვენ, ჩვენი მოწინააღმდეგეები პრორუსები ხართ. გყავთ თქვენი ამომრჩეველი – დაახლოებით 5 ან 7%. უნდა აგირჩიონ ამის შესაბამისად. სხვისი ხმების მიტაცების უფლება არ გაქვთ. იმისთვის, რომ თავისუფალი არჩევნები გავმართოთ, უნდა მოვილაპარაკოთ საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესზე. აი, ამაზე შესაძლებელია მოლაპარაკება და არა იმაზე, რომ დანაშაული ეპატიოთ 20 ივნისის მოძალადეებს, ბავშვებისათვის თვალების დამთხრელებს და ხალხის ფულის (ბიუჯეტის ფულის) ქურდებს. მოპარული თანხები უნდა დააბრუნონ. ფულის მიმთვისებლები ციხეში კი არ უნდა ჩავსვათ, მათ თანხები უნდა დავაბრუნებინოთ. პოლიტიკური პროცესები უნდა მიმდინარეობდეს ამ ფონზე.

***– წლის ბოლოს „ქართული ოცნება“ თავდაჯერებულად გამოიყურება. ბიძინა ივანიშვილისა და გიორგი გახარიას წასვლამ არაფერი დააკლო მმართველ პარტიას?***

– „ქართული ოცნების“ თავდაჯერებულობა მოჩვენებითია. მან მთავარი დაკარგა – ხალხის ნდობა. „ქართული ოცნება“ ძალით ინარჩუნებს მდგომარეობას. ეს ხელისუფლება ძალადობაზე დგას – პროკურატურაზე, პოლიციაზე, სუს-ზე. არც ერთ სფეროში არ ჩანს არანაირი პერსპექტივა. არ ვითარდება ეკონომიკა, არ ვართ დაცული საგარეო აგრესიისაგან, არ ჩანს კონტაქტები დასავლეთთან, აქტიურობა ტერიტორიული მთლიანობის საკითხებზე. მოუგვარებელია დევნილთა პრობლემები. არავინ საუბრობს მათ დაბრუნებაზე და იმაზე, რომ დაბრუნებამდე ადამიანურად იცხოვრონ. ოდნავ მომატებული პენსია ვერ ფარავს ინფლაციით გამოწვეულ სიძვირეს და ვერ უტოლდება 2012 წლის მაჩვენებელს. მომატებული ფასები ურტყამს ბიუჯეტიდან დაფინანსებულ თანამშრომლებს, განსაკუთრებით კი, კერძო სექტორს. ამ ფონზე ნორმალური ადამიანი „ქართულ ოცნებას“ მხარს ვერ დაუჭერს. „ოცნება“ თავდაჯერებული არ არის. მას საკუთარი ჩრდილისაც კი ეშინია.

***– სხვადასხვა საკრებულოში სხვადასხვანაირი ვითარებაა. ჩხოროწყუს საკრებულოში ნაცმოძრაობამ მხარი დაუჭირა თავმჯდომარედ გახარიას პარტიელის დამტკიცებას. „ოცნებაში“ ამბობენ, რომ გახარიას „საქართველოსთვის“ გარიგებულია ნაცმოძრაობასთან.***

– გარიგება კი არა, იქ გულწრფელი თანამშრომლობა და ხალხის ინტერესის გათვალისწინებაა. ჩხოროწყუში ამომრჩეველმა უარი უთხრა „ქართულ ოცნებას“. წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა, რომელიმე ოპოზიციური პარტია რომ შეთანხმებულიყო მმართველ პარტიასთან! ადგილებზე უფრო ჩანს ყველაფერი. პატარა ქალაქებში ყველა ერთმანეთს იცნობს. გახარიას პარტიას ჩხოროწყუში ჰყავს ღირსეული წარმომადგენლები. ისინი ნამდვილად ოპოზიციურად არიან განწყობილი. ამიტომ, სავსებით ბუნებრივია, რომ ისინი კონტაქტზე წამოვიდნენ სხვა ოპოზიციასთან – ნაცმოძრაობასთან, ლელოსთან. გახარიას პარტიამ და




ნაცმოძრაობამ ჩხოროწყუში ხალხის ერთნაირი რაოდენობა გაიყვანა. ოპოზიციურად განწყობილი გახარიას პარტიის წევრები ვერანაირად ვერ შეუთანხმდებოდნენ „ქართულ ოცნებას“.

***– მომავალი წელი როგორი იქნება საქართველოსთვის? რა პროცესებს ელით?***

– მოველი რყევებს. პრობლემა უამრავია და ალბათ, ხალხი სხვადასხვა საკითხზე გამოვა ქუჩაში. იქნება სხვადასხვა აქცია. მაგალითად, თბილისში ტრანსპორტის ტარიფის, პარკირების საფასურის გაზრდის, კოვიდ-სიტუაციის, დაბალი პენსიების, ხელფასების, უმუშევრობის გამო. რყევები გაგრძელდება და ამ რყევებს ხელისუფლება ვერ გაუძლებს. რაც უფრო გააჭიანურებს ყოფნას, მით უფრო მტკივნეულად დაამთავრებს. მე ეს არ მაწუხებს. მაღელვებს ის, რომ ადამიანებს კიდევ უწევთ ცხოვრება გაუსაძლის პირობებსა და უპერსპექტივობაში. მთელი საზოგადოება უნდა შეთანხმდეს, რომ უნდა რეფორმები, ცხოვრების გაუმჯობესება, საერთაშორისო არენაზე საქართველოს ყოფნა, თავისუფალი არჩევნები და დამოუკიდებელი სასამართლო. „ქართულ ოცნებას“ ხალხის ნდობა არა აქვს. იმდენად დაკარგული აქვს ნდობა ხელისუფლებას, კარგიც რომ მოინდომოს, ესეც ცუდად აღიქმება. მით უმეტეს, კარგი არაფერია – ხელისუფლება ხალხს ცხოვრებას უფრო და უფრო უძვირებს.


**შევიძენ**
**ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.**
**ტელ.: 598-43-98-57**

# „ქართული ოცნება“ ერთხელ უკვე აღმოჩნდა თავისი დანაპირების მძევალი“

## ლევან ალაფიშვილი: „რუსეთს საქართველოში თავისი ამბიციები ღიად ექნება მანამ, სანამ დასავლეთი ამის საშუალებას მისცემს“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო ლევან, მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრიდან გამოსულმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ სააკაშვილი პუტინის პატიმარია. შეიძლება ასე ფართოდ შემოჭრილიყო რუსეთის ინტერესები ქართულ პოლიტიკაში?***

– რუსული ინტერესები საქართველოში ღიად, დიდი ხანია სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა ინტენსივობით, მათ შორის პოლიტიკაში არის წარმოდგენილი. რუსეთის ინტერესები არის ყველა სფეროში – ეკონომიკაში, ბიზნესში. განსაკუთრებით ეს ინტენსიური გახდა 2012 წლის შემდეგ. იმ განცხადებული პოლიტიკის შემდეგ, რომელიც რუსეთის არ გაღიზიანებას გულისხმობს. რუსეთს საქართველოში თავისი ამბიციები ღიად ექნება მანამ, სანამ დასავლეთი ამის საშუალებას მისცემს.

***– რამდენად შესაძლებელია, როგორც მარგველაშვილმა განაცხადა, პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებზე მორატორიუმი გამოცხადდეს? ამისთვის პოლიტიკური ნებაა საჭირო და ის პროცესი, რომელიც დაიწყო პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა?***



– სალომე ზურაბიშვილის დისკრეციული უფლებაა ყოველგვარი გადახედვის, ყოველგვარი განხილვის გარეშე შეწყალება. თუ სალომე ზურაბიშვილი შეიწყალებს მიხეილ სააკაშვილს, მაშინ ამ კონკრეტულ საქმეზე ძიება შეწყდება.

რაც შეეხება ზოგადად მორატორიუმის საკითხს, მორატორიუმიც სახელმწიფოს ექსკლუზიური უფლებამოსილებაა და ამაზე დავას არ ვაპირებ, მაგრამ მორატორიუმის პირობები კარგად თუ არ იქნება ჩამოყალიბებული, შეიძლება პოლიტიკური ინტერპრეტაციების საგნად იქცეს, უბრალო ფიქციად.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას თუ რომელ საქმეებზე ცხადდება მორატორიუმი. საიდან იწყება ეს პროცესი. ამ ხელისუფლების პირობებში წარმოებული საქმეები იგულისხმება თუ წინა ხელისუფლების პირობებშიც და იმის წინაც. ბევრი ნიუანსი და დეტალია, როდესაც საქმე სამართალწარმოებას ეხება. საერთოდ რაზეა საუბარი პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებზე, რომელიც ევროსაბჭოს მიერ დადგენილ პრინციპებს უნდა აკმაყოფილებდეს. გაწერილია რა არის პოლიტიკური დევნა და ა.შ. ამ ყველაფერზე იმიტომ ვსაუბრობ, რომ არ მივიღოთ დამახინჯებული სურათი, რეალობა, რომელიც შეიძლება არანაკლებ სარისკო აღმოჩნდეს.

შეგახსენებთ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ როგორ შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა საქმეების გადახედვა და რომელმაც გუნდის შიგნითაც კი დიდი ვნებათაღელვა და დაპირისპირება გამოიწვია. ამიტომ ვსაუბრობ, რომ ეს მარტივი პროცესი არ არის. ძალიან დიდი ფიქრის და მსჯელობის შედეგი უნდა იყოს, რათა სწორად წარიმართოს პროცესი.

„ქართული ოცნება“ ერთხელ უკვე აღმოჩნდა თავისი დანაპირების მძევალი ე.წ. სამართლიანობის აღდგენას ვგულისხმობ. ფაქტიურად ამ ლოზუნგით მოვიდა ის ხელისუფლებაში. ამიტომ, ახლა მნიშვნელოვანია რა პროცესზეა საუბარი. ეს არის თანხმობის პროცესი, შერიგების პროცესი თუ საერთოდ რაზეა საუბარი. რადგანაც ჩვენი სახელმწიფოსთვის პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო სისტემა, ყველა დროში, ყველა ხელისუფლებისთვის გამოწვევა იყო.

***– ფიქრობთ, რომ გადამწყვეტი პოლიტიკური ნებაა? რომ ასე ვეღარ გაგრძელდება და რაღაც უნდა შეცვალოს ხელისუფლებამ?***

– სამწუხარო ის არის, რომ ამას ხშირად ჩვენთან ან ჩვენნაირ მყიფე დემოკრატიაში ხელისუფლებები ვერ გრძნობენ. ამ დროს უმნიშვნელოვანესია საზოგადოების, ამომრჩევლის აქტიურობა, რომ მან მიახვედროს ან აიძულოს შეცვალოს. ხშირად, სამწუხაროდ, საზოგადოება ვერ გრძნობს ამ პასუხისმგებლობას. ოთხწელიწადში ერთხელ ურნასთან მისვლა არ არის საკმარისი. აუცილებელია კონტროლი. ამიტომ არის აქტიური მოქალაქე, აქტიური საზოგადოება ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტიც კი. ე.წ. ელიტა და ე.წ. პროცესის წარმმართველები ამ შემთხვევაში ვერაფერს გახდებიან. თუ საზოგადოება წაუყრუებს, უარს იტყვის თავის წილ პასუხისმგებლობაზე, მაშინ ნებისმიერი ხელისუფლება, რომელიც არ არის დემოკრატიული სისტემის მუხრუჭებით კარგად „აღჭურვილი“, ზუსტად იგივეს იზამს.

სიმართლე გითხრათ, იმ პროცესსაც, რომელიც ახლა მიმდინარეობს სალომე ზურაბიშვილის ინიციატივით, სჭირდება საზოგადოების მეთვალყურეობა. საზოგადოება უნდა იყოს აქტიურად ჩართული ამ პროცესში, რომ რეალური შედეგები მივიღოთ.

# სააკაშვილი: „პრეზიდენტებს ზურაბიშვილს და მარგველაშვილს ისტორიული როლის შესრულება შეუძლიათ“

– ჩემთვის ძალიან საინტერესო, შინაარსიანი და ვრცელი შეხვედრა მქონდა გიორგი მარგველაშვილთან. მიუხედავად წარსულში სერიოზული პოლიტიკური განსხვავებებისა, არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ პრეზიდენტი მარგველაშვილი იმსახურებს პატივისცემას.

ამის შესახებ ნათქვამია მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის განცხადებაში, რომელიც გუშინ, 27 დეკემბერს, მის ფეისბუქ გვერდზე გავრცელდა.

სააკაშვილის განცხადებით, არ შეიძლება არ დავაფასოთ, რომ ამ ძნელბედობის ჟამს მარგველაშვილმა თავის თავზე აიღო მაკონსოლიდირებელი როლი.

„პირველ რიგში, მსურს დიდი მადლობა გადავუხადო საქართველოს მეოთხე პრეზიდენტს, ბატონ გიორგი მარგველაშვილს.

ჩემთვის ძალიან საინტერესო, შინაარსიანი და ვრცელი შეხვედრა მქონდა მასთან. მიუხედავად წარსულში სერიოზული პოლიტიკური განსხვავებებისა, არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ პრეზიდენტი მარგველაშვილი იმსახურებს პატივისცემას. მინდა გამოვყო რამდენიმე ფაქტორი, თუ რის გამო: ჩემთვის განსაკუთრებით ფასეულია, რომ მან, ბევრისგან განსხვავებით, არ გამოიყენა საკუთარი თანამდებობა პირადი გამდიდრებისთვის და პრეზიდენტობის შემდეგ ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებით ცხოვრობს.

დავრწმუნდი, რომ გულთან ძალიან ახლოს მიაქვს ხალხის გაჭირვებული ყოფა. ჩემში ეჭვს არ იწვევს მისი პატრიოტიზმი და პროდასავლური ორიენტაცია. ასევე, ვაფასებ მის ინიციატივებს მოქმედი და ყოფილი პრეზიდენტების დიალოგზე, პოლიტიკური მართლმსაჯულების შეწყვეტაზე. აბსოლუტურად ზუსტად და თამამად გამოთქვამს იმ რეალობას, რომ მე ვარ ნამდვილად პუტინის პირადი პატიმარი. არ შეიძლება არ დავაფასოთ, რომ ამ ძნელბედობის ჟამს მან თავის თავზე აიღო მაკონსოლიდირებელი როლი. ეს ახლა ყველაზე მეტად სჭირდება საქართველოს და ამ მხრივ, ორივემ, სალომე ზურაბიშვილმა და გიორგი მარგველაშვილმა, შეიძლება შეასრულონ ნამდვილად ისტორიული მისია.

ამიტომ, მხარს ვუჭერ პრეზიდენტ ზურაბიშვილის ინიციატივას, თუნდაც იმ პირობებში, როგორც დღეს ნიკა მელიამ თქვა, შანსი მინიმალურიც რომ იყოს. კიდევ ერთხელ ვადასტურებ ჩემს მზადყოფნას, და ეს გიორგისთან განვიხილე, სამი პრეზიდენტის შეხვედრაზე, ჩემი მხრიდან ყოველგვარი პირადი თხოვნების (განსაკუთრებით, შეწყალების თაობაზე) გარეშე.

ასევე, მე და გიორგი ორივე ვიზიარებთ შეშფოთებას მოშიმშილეების მდგომარეობაზე და მე ვაფასებ მის ინიციატივას, მოინახულოს ისინი და საკუთარი ხედვა და ჩვენი საერთო შეშფოთება გააცნოს“ – ნათქვამია სააკაშვილის განცხადებაში.

# ზურაბ აზარაშვილმა ქალიშვილს 250.000 ლარის ღირებულების ბინა აჩუქა

## რა ქონება აქვს ჯანდაცვის ახალ მინისტრს

გუშინ, 27 დეკემბერს, პრემიერმა ღარიბაშვილმა ჯანდაცვის ახალ მინისტრად თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე ზურაბ აზარაშვილი წარადგინა.



ზურაბ აზარაშვილს ქონებრივი დეკლარაცია ბოლოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სსიპ-სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“-ს გენერალური დირექტორის პოზიციაზე მუშაობისას აქვს შევსებული.

2017 წელს მან თბილისში მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი შეიძინა. 2019 წელს კი შვილს, მარიამ აზარაშვილს ასევე თბილისში, 250.000 ლარის ღირებულების ბინა აჩუქა.

ზურაბ აზარაშვილმა 2018 და 2019 წლებში ორი ავტომობილი – 55.000 ლარის ღირებულების ტოიოტა კამრი და ტოიოტა პრადო 54.000 ლარად იყიდა.

ზურაბ აზარაშვილს და მის ოჯახის წევრებს საქართველოს ბანკსა და ტერა ბანკში 17 ანგარიში აქვთ გახსნილი.

აზარაშვილს, დეკლარაციის შევსების მომენტში, მიმდინარე საბარათე ანგარიშებზე 8,73 ლარი, 12.267,52 ევრო, 145,2 ლარი ერიცხებოდა. საბარათე ანგარიშზე კი – 115,66 ლარი. ზურაბ აზარაშვილი ტერა ბანკში, ანაბრის სახით 7. 000 ლარს ინახავს.

თავად მინისტრს ტერა ბანკში სადეპოზიტო სერთიფიკატი აქვს მითითებული, სადაც 95.000 ლარი ირიცხება. მას საკრედიტო ანგარიშზე 56,74 და 423,03 ლარი აქვს, მინისტრის მეუღლეს, შორენა ქოქაშვილს ტერა ბანკში ანგარიშზე 1.755,34 ლარი ერიცხება.

ზურაბ აზარაშვილი 2027 წლამდე საქართველოს ბანკში საკრედიტო ვალდებულების შესრულება მოუწევს, მას იპოთეკური სესხი 45.000 ევროს ოდენობით აქვს, ხოლო გასავალში 6.050,48 ევროა მითითებული.

მინისტრი კიდევ ერთი იპოთეკური სესხით სარგებლობს, რომელიც 2031 წლამდე 120.000 ევროს ოდენობით აქვს აღებული და ზურაბ აზარაშვილს 12. 215,62 ევრო გასავალი აქვს.

ახალ მინისტრს ჰყავს მეუღლე შორენა ქოქაშვილი და ხუთი შვილი: მარიამი, ანა, ნიკოლო-ზი, ანდრია და დამიანე. მათგან უფროსი მარიამი 19 წლისაა, უმცროსი დამიანე კი – 2– ის.

# „ჩემი სამსახურის გაუქმებას რამდენიმე მიზეზი აქვს“

## ლონდა თოლორაიამ 2 კვირის წინ შვილი გააჩინა

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ხელმძღვანელი ლონდა თოლორაია „ოცნების“ ახალი ინიციატივის შემდეგ „მთავარ არხთან“ პირველ კომენტარს აკეთებს. ის ექსკლუზიურ კომენტარში გადაწყვეტილების პოლიტიკურ მოტივებს არ უარყოფს და ამბობს, რომ ის რომელიმე ერთ ფაქტთან არაა დაკავშირებული.



– როგორც პოსტში დავწერე, ეს ინფორმაცია არ მქონდა, ეს ინფორმაცია ჩემთვის ცნობილი გახდა „ინტერპრესნიუსიდან“ ისევე, როგორც სამსახურის ყველა თანამშრომლისთვის გახდა ცნობილი ეს ამბავი, შესაბამისად, არ ვიცი. ვიყავი დეკრეტში, 2 კვირის ბავშვი მყავს და დღეს გავდივარ სამსახურში, – თქვა ლონდა თოლორაიამ გუშინ, 27 დეკემბერს.

რაც შეეხება კითხვას, უკავშირებს თუ არა ფაქტს ბოლო პერიოდში გახმაურებულ საქმეებზე ინსპექტორი კრიტიკულ განცხადებებს, მათ შორის მიხეილ სააკაშვილის საქმესთან დაკავშირებით, თოლორაია პასუხობს:

– ეს გადაწყვეტილება ბევრ რაღაცასთან არის ერთად დაკავშირებული, ეს არ უკავშირდება რომელიმე ერთ ფაქტს, ეს არის რამდენიმე რაღაცის გამო მიღებული გადაწყვეტილება.

მისი განცხადებით, ამერიკის ელჩს, ისევე, როგორც მათ, მიაჩნია, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან დაკავშირებული პროცესი ჯანსაღად არ მიმდინარეობს.

ამის შესახებ მან ჟურნალისტებს კელი დეგნანთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა.

– ჩვენ შევხვდით ამერიკის ელჩს, რომელსაც მივაწოდეთ დეტალური ინფორმაცია, თუ როგორ მოხდა კონსპირაციულად აღნიშნული კანონპროექტის შემუშავება სახელმწიფო ინსპექტორის ჩართულობის გარეშე; როგორ გაიგო ამის შესახებ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა მედიისგან; როგორ აპირებენ არა მხოლოდ სახელმწიფო ინსპექტორის სახლში გაშვებას, არამედ სახელმწიფო ინსპექტორის ყველა თანამშრომელზე შურისძიებას და მიხარია, რომ ამერიკის ელჩმა გამოხატა დიდი მხარდაჭერა სამსახურისადმი და მასაც, ისევე, როგორც ჩვენ, მიგვაჩნია, რომ ეს პროცესი ჯანსაღად არ მიმდინარეობს და ეს პროცესი სრულიად მოწყვეტილია დემოკრატიული და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული ქვეყნის პროცესის არსს, – განაცხადა ლონდა თოლორაიამ.

# მარგველაშვილი: „3 პრეზიდენტის შეხვედრა ბუნებრივ და იოლ ნაბიჯად მიმაჩნია“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

კიდევ უფრო ნაკლებად რთულია, ვიდრე იმ ადამიანებთან, ვისაც ამ წუთებში ხვდება. არა მარტო ლოგიკურ, ძალიან ბუნებრივ და იოლ ნაბიჯად მიმაჩნია ამ ყველაფრის გაკეთება, – განაცხადა მარგველაშვილმა.

მისი აზრით, საქმეებზე, რომლებიც პოლიტიკურად მოტივირებულად ფასდება, პოლიტიკური მორატორიუმი უნდა გამოცხადდეს.

– გადავწყვიტოთ, გარკვეული პოლიტიკური მორატორიუმი გამოვაცხადოთ ჩვენი შეფასებით პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებზე სასამართლოში. ეს საქმეები არის სააკაშვილის, ხაზარაძის, მელიას, გვარამიას საქმეები, ანუ ის საქმეები, რაც საზოგადოებამ თავისთავად იცის, რომ მიიჩნევა მოტივირებულად. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი არიან დამნაშავეები, ან უდანაშაულოები, ეს იმას ნიშნავს, რომ გადაფასების და ერთმანეთთან ურთიერთობის პროცესში ჩვენ ამ პროცესს გარკვეულად ვაჩერებთ და, შესაბამისად, საუბარი, როცა ამ მაგიდასთან, სადაც ქართულმა საზოგადოებამ და პოლიტიკურმა სპექტრმა უნდა მოიყაროს თავი, ამ საუბრის წინაპირობა არ შეიძლება იყოს მიმდინარე დევნა, ან პატიმრობა ამ საუბრის აქტორებისა.

ყოველგვარი იურიდიული შეფასების გარეშე, უბრალოდ, წინაპირობად ამ ურთიერთობის უნდა იყოს, რომ ამ მრგვალ მაგიდასთან, ვინც მივუსხდებით და ვისაუბრებთ საქართველოს ერთიან და მთლიან პოლიტიკაზე, ისეთ საკითხთან მიმართებაში, როგორიც არის ჩვენი უმთავრესი გეოპოლიტიკური გამოწვევები, ამ ნაწილში ვერ ვიქნებით ზოგი პატიმარი და ზოგი დევნის ობიექტი, ამ პერიოდისთვის ამ საქმეებზე უნდა გაკეთდეს მორატორიუმი, – განაცხადა მარგველაშვილმა.

## ქვემო ქართლში 38 ცალი ყალბი 50-დოლარიანი გაასაღეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე ორი პირი პასუხისგებაში მისცა. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, ერთ-ერთ ბრალდებულზე ძებნაა გამოცხადებული. მისივე ცნობით, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში ორი პირი მისცეს, რომელთაგანაც ერთზე გამოცხადებულია ძებნა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, ქვემო ქართლის რეგიონში, ჯგუფურად გაასაღეს 1.900 აშშ დოლარის ოდენობის 38 ცალი ყალბი 50 დოლარიანი კუპიურა.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

## ირაკლი ლეჟავას და 6 ქართველს ათენის სასამართლო ასამართლებს

ირაკლი ლეჟავას ახლობლებს არ აქვთ ინფორმაცია, თუ რა ბრალდებით დააკავეს საბერძნეთში ცნობილი ქართველი კანონიერი ქურდი.

კურიერმა ათენის პოლიციის მიერ დაკავებული სხვა ქართველების ვინაობაც გაარკვია. საქართველოში მყოფი მათი ახლობლები დაკავების ფაქტს არ უარყოფენ, თუმცა მომხდარს გაუგებრობას უკავშირებენ. ათენის სასამართლო საქართველოს 7 მოქალაქეს ორგანიზებული დანაშაულის, მასობრივი ძარცვისა და ფულის გათეთრების ბრალდებით ასამართლებს. ჯგუფის წევრები საბერძნეთის პოლიციამ რამდენიმე კვირის წინ ათენის პროკურატურის მიერ გაცემული ორდერის საფუძველზე დააპატიმრა. ოპერაციაში ჩართული იყო ევროპოლიც.

– დაკავებულია კრიმინალური დაჯგუფების 6 წევრი და მათი მეთაური, ე.წ. კანონიერი ქურდი. ისინი წარმოადგენენ ქართული მაფიის ორგანიზებულ ჯგუფს. ეს ჯგუფი პასუხისმგებელია სხვადასხვა რაიონში 40-ზე მეტ ძარცვასა და ქურდობაში, – აცხადებს ბერძენი პროკურორი.

ბერძენმა სამართალდამცველებმა ჩხრეკის შედეგად ამოიღეს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ანტიკვარული ნივთები, ძვირფასეულობა, სხვადასხვა სახის ტექნიკა და ე.წ. ქურდული საერთოსთვის განკუთვნილი დიდი ოდენობით თანხა.

პოლიციის ინფორმაციით, ქართველების ამ კონკრეტული ჯგუფის მიერ კრიმინალური საქმიანობით მიღებული სარგებელი 194 ათას ევროს აჭარბებს.

– აღნიშნული ჯგუფი კანონიერი ქურდის მეთაურობით ათენის გარეუბნებში 2020 წლის ზაფხულიდან მოქმედებდა. წინასწარ უთვალთვალებდნენ და არჩევდნენ მდიდარ ოჯახებს. ისინი დაკავებულნი იყვნენ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულის გათეთრებით. ნაძარცვთან ერთად ჩხრეკისას ამოღებულია ნარკოტიკები და უკანონო იარაღი, – აცხადებს საქმის გამომძიებელი.

იუზა სოფრომაძე, ჯამბულ ჩხაიძე, კახაბერ ბზიკაძე, ფირუზ ფალავანდიშვილი, ლაშა ფალავანდიშვილი, აკაკი ჩხენკელი – საქართველოს მოქალაქეებისგან შემდგარი ეს ჯგუფი ახლა ათენის სასამართლოს განაჩენის მოლოდინშია. მათთან ერთად მოსამართლის ვერდიქტს ელოდება კანონიერი ქურდი ირაკლი ლეჟავაც, რომელსაც კრიმინალურ წრეებში ლაზარეს სახელით იცნობენ.

## გორში მამაკაცი მოკლეს – პოლიციამ 1 პირი დააკავა

გორში 55 წლამდე ასაკის მამაკაცი მოკლეს. შემთხვევა 26 დეკემბერს საღამოს კომბინატის დასახლებაში ერთ-ერთი კორპუსის წინ მოხდა. დაპირისპირება სუფრაზე დაიწყო, რაც შემდეგ ეზოში გაგრძელდა. ჩხუბის დროს დაიჭრა ერთი მამაკაციც. ჩხუბში მონაწილეობდნენ ძმები ქასანაშვილები და მათთან მყოფი ერთი პირი. გარდაცვლილია ერთ-ერთი ძმა. გორის პოლიციამ 1 პირი დააკავა. უწყების ცნობით, შსს-ს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1956 წელს დაბადებული გ.ძ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ქალაქ გორში, თავისივე საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ, ურთიერთშელაპარაკებისას, ნაცნობი – 1967 წელს დაბადებული ს.ქ. ცივი იარაღის გამოყენებით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი სამედიცინო დაწესებულებაში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

პოლიციამ გ.ძ. ცხელ კვალზე, მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავა. სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს“ – აცხადებენ უწყებაში.

# თამუნა ანთელავას მკვლელობისთვის დაკავებული სოსო გაბრიაძე ციხიდან გამოუშვეს





2020 წლის აღდგომის დღეს, მთვრალმა პოლიციელმა, თბილისში, სახლის აივნიდან სამსახურებრივი იარაღიდან გასროლით, შემთხვევით მეზობელ კორპუსში მცხოვრები 50 წლის თამუნა ანთელავა მოკლა.

პოლიციელ სოსო გაბრიაძეს საქალაქო სასამართლომ 8 წელი მიუსაჯა, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მას ბრალი შეუმსუბუქდა და საპატიმრო 1 წელსა და 3 თვეში დატოვა.

2021 წლის იანვარში მომღერალმა თიკა მახალდიანმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ დედამისის მკვლელობისთვის პოლიციელ სოსო გაბრიაძეს სასამართლომ 8 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

2021 წლის აპრილში, მომღერალმა რუსთავი 2-ის ერთ-ერთ გადაცემაში ახსენა, რომ მკვლელისთვის პატიებაზე ფიქრობს და ამაში მას მისი სულიერი მოძღვარი, დეკანოზი შალვა კეკელია ეხმარება, თუმცა მედიას აღარ გაუგრძელებია ეს თემა და, შესაბამისად, აღარც ის გახმაურებულა, აპატია თუ არა გარდაცვლილის ოჯახმა მკვლელს დანაშაული.

რადიო თავისუფლებისთვის ექსკლუზიურად მიწოდებული ინფორმაციით, პოლიციელი სოსო გაბრიაძე დაკავებიდან 15 თვეში, 2021 წლის ივლისში ციხიდან გაათავისუფლეს.

ამასვე ადასტურებს სოციალურ ქსელში სექტემბერში მისი და მისი მეუღლის გამოქვეყნებული ფოტოები. სურათებზე ჩანს, რომ ოჯახი საქართველოს ერთ-ერთ საზღვაო კურორტზე იმყოფება.

თიკა მახალდიანის ოჯახმა გაბრიაძის გათავისუფლების შესახებ დაზუსტებით რადიო თავისუფლებიდან შეიტყო.

– პროკურატურა თავიდანვე ითვალისწინებდა ჩვენი ოჯახის აზრს, რისთვისაც მადლობელი ვარ. 8 წელი რომ მიუსაჯეს, შემდეგ პროკურატურამ შემოგვითვალა ადვოკატის პირით, რას ვაპირებდით, 2-3 დღე იყო დარჩენილი პასუხის გაცემამდე, როცა თიკა და ოჯახის წევრები მივედით ეკლესიაში მამა შალვასთან, ძალიან დიდი როლი ითამაშა მამაომ, ასე უთხრა პირდაპირ ჩემს მეუღლეს – შენ ნუ მიიღებ იმ კაცის 15 წლით დასჯაში პირდაპირ როლსო, შენ ხომ იცი, რომ განზრახ არ გაუკეთებია და რატომ უნდა მიესაჯოს 15 წელიო, სწორად შეხედე, ქრისტიანულადო. ამ საუბარმა დიდი როლი ითამაშა და აღარ გავაპროტესტეთ, ჩვენი მხრიდან ამ საქმეში მონაწილეობა ამით დასრულდა, – უთხრა რადიო თავისუფლებას გარდაცვლილის სიძემ თემო პირველაშვილმა.

გარდაცვლილის ოჯახის წევრმა რადიო თავისუფლებას უთხრა, რომ ისინი შეგუებული იყვნენ, რომ პოლიციელი 8 წელს არ გაატარებდა ციხეში, თუმცა მის ასე სწრაფად გამოშვებას არ ელოდნენ.

პროკურატურამ 8-წლიანი სასჯელი არ გაასაჩივრა, განაჩენი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა მსჯავრდებულმა.

„სააპელაციო სასამართლომ 2021 წლის 27 აპრილის განაჩენით სიმონ გაბრიაძეს ბრალდების მუხლი შეუმსუბუქა, 108-ე შეუცვალა 116-ე მუხლით და 8-წლიანი სასჯელი გააუქმა. სასამართლომ ყოფილ პოლიციელს 1 წლით და 3 თვით პატიმრობა მიუსაჯა, ასევე 1 წლით და 3 თვით პირობითი სასჯელი დააკისრა“ – წერს „რადიო თავისუფლება“.

## ფოთის ყოფილ მერ ირაკლი კაკულიას 8 წელი, 40.000 ლარი ჯარიმა და 3 წლით საქმიანობის უფლების ჩამორთმევა მიესაჯა

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და დიდი ოდენობით ქრთამის აღებაში, თაღლითობის დახმარებასა და ქონებრივი უფლების დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტის ჯგუფურად დამზადებასა და გამოყენებაში, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ყოფილი მერი დამნაშავედ ცნო.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს გენერალური პროკურატურა ავრცელებს.



სასამართლო პროცესზე, პროკურატურის მიერ გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, ფოთის მერმა სამსახურებრივი მფარველობისა და სამუშაოების შესრულებამდე თანხის გადარიცხვის სანაცვლოდ, სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის – შპს „პირამიდა ფ.რ. ფილიალის“ წარმომადგენლისგან ქრთამის სახით დიდი ოდენობით თანხა – 30.000 ლარი აიღო.

პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ასევე აღნიშნულია, რომ ფოთის მერი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის წარმომადგენელს დაეხმარა თაღლითური გზით დაეუფლებოდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კუთვნილ დიდი ოდენობით თანხას – 439.892.46 ლარს.

„გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ 2015 წლის 15 სექტემბერს, ფოთის მერსა და სამუშაოების შემსრულებელ კომპანიას შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, რომლითაც ფოთის მერიის მიერ შესყიდული იქნა მალთაყვის სანაპირო ზოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები. მოგვიანებით, ფოთის მერი აღნიშნული კომპანიის წარმომადგენელს შეუთანხმდა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხებს აუნაზღაურებდა წინასწარ, სამუშაოების უშუალო შესრულებამდე, რის სანაცვლოდაც ქრთამის სახით 30.000 ლარი აიღო.

აღნიშნულის შემდეგ, კომპანიის წარმომადგენელმა ფოთის მერთან შეთანხმებით, ეტაპობრივად დაამზადა შესრულებულ სამუშაოთა ყალბი აქტები, რომლებშიც შეიტანა ყალბი მონაცემები შესრულებული სამუშაოების მოცულობების და ღირებულებების შესახებ. ფოთის მერმა კი, მის დაქვემდებარებაში მყოფ რამდენიმე თანამდებობის პირს და თანამშრომელს აღნიშნული ყალბი აქტების ხელმოწერებით დადასტურება დაავალა.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ქალაქ ფოთის ყოფილი მერი დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის II ნაწილით (ქრთამის მოთხოვნა და აღება), 25, 180-ე მუხლის III ნაწილით (თაღლითობაში დახმარება), 210-ე მუხლის II ნაწილით (ქონებრივი უფლების დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტის ჯგუფურად დამზადება და გამოყენება) და სასჯელის ზომად განუსაზღვრა – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, ჯარიმა – 40.000 ლარი და 3 წლით საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.

ამავე განაჩენით, სასამართლომ დამნაშავედ ცნო კიდევ ათი პირი, მათ შორის – ფოთის მერიის მაღალი თანამდებობის პირები, რომელთაც 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ, ხოლო ოთხმა ბრალდებულმა ითანამშრომლა გამოძიებასთან და ხელი შეუწყო მტკიცებულებათა მოპოვებას, რისი გათვალისწინებითაც, მათთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდა“ – ნათქვამია პროკურატურის ინფორმაციაში.

## აკო ჭელიძემ ნიკო კვარაცხელიას მკვლელობა აღიარა

22 წლის ნიკო კვარაცხელიას განზრახ მკვლელობა ბრალდებულმა აკო ჭელიძემ სასამართლო პროცესზე აღიარა და განმარტა, რომ თავს დამნაშავედ ნაწილობრივ მიიჩნევს. ის არ ეთანხმება ბრალის ფორმულირებას ჯგუფურ ნაწილში და აცხადებს, რომ თანამზრახველი არ ჰყოლია.

– ეს დანაშაული არის ჩემი ჩადენილი, მაგრამ არ მყოლია თანამზრახველი და არ ჩამიდენია ჯგუფურად, – განაცხადა ჭელიძემ.

მეორე ბრალდებული გიორგი კავილაძე თავს წარდგენილი ორი ბრალდებიდან არც ერთში დამნაშავედ არ მიიჩნევს. კავილაძემ უნდობლობა გამოუცხადა გამოძიებას და აღნიშნა, რომ მხოლოდ სასამართლოს ენდობა. მისივე თქმით, მისი დანაშაული მხოლოდ ის არის, რომ „მომხდარის შესახებ პოლიციას არ შეატყობინა“.

გუშინდელ, 27 დეკემბრის, სხდომაზე აკო ჭელიძე და გიორგი კავილაძე კვლავ პატიმრობაში დარჩნენ. აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე რომეო ტყეშელაშვილმა გამოაცხადა.

სასამართლომ გუშინ საკუთარი ინიციატივით გადასინჯა ბრალდებულებისთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა.

ბრალდების მხარის განცხადებით, დაკავებულები პატიმრობაში უნდა დარჩენილიყვნენ. როგორც პროკურორმა გია შაიშმელაშვილმა განმარტა, აღკვეთის შეცვლისთვის საქმეზე ახალი გარემოება უნდა არსებობდეს, რაც გამოკვეთილი არ არის, შესაბამისად, ბრალდების მხარე ბრალდებულების პატიმრობაში დატოვებას ითხოვდა. შაიშმელაშვილის განცხადებით, 22 წლის ახალგაზრდის მკვლელობა ყოველგვარი მიზეზის და მიზნის გარეშე, დღისით, ბევრი ადამიანის თვალწინ მოხდა. დანაშაულის ჩადენის შემდეგ ბრალდებულები მიიმალნენ და გამოძიება მათ 21 დღე ეძებდა. პროკურორის თქმით, ბრალდებულები მკაცრი სასჯელის შიშით, შესაძლოა, გამოძიებას მიემალონ, რადგან ისინი უკვე მიმალულები იყვნენ და სასამართლოს ჭეშმარიტების დადგენაში ხელს უშლიდნენ. პროკურორმა ასევე ისაუბრა ბრალდებულების მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენისა და მტკიცებულებების განადგურების საფრთხეებზე.

შაიშმელაშვილის განმარტებით, გამოძიებამ ამ ეტაპზე ვერ მოახერხა იმ პიროვნების დადგენა, თუ ვისგან შეიძინეს დაკავებულებმა ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა, ასევე ინტენსიური გამოძიება მიმდინარეობს, თუ ვინ ეხმარებოდა ბრალდებულებს მიმალვასა და თავისუფლებაში ყოფნაში. რაც შეეხება დაცვის მხარის პოზიციას, აკო ჭელიძის ადვოკატმა ონისე მარგიანმა განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პოზიცია არ გააჩნია. გიორგი კავილაძის ადვოკატები კი მისი პატიმრობაში დარჩენას არ დაეთანხმნენ. შეგახსენებთ, რომ ორივე ძებნილი პოლიციამ წყნეთში 7 ოქტომბერს დააკავა.

## „ჩავიხადე შარვალი და 12 წლის ბიჭთან სექსის დამყარებას ვცდილობდი“

### რა წერია 40 წლის მამაკაცის ჩვენებაში

„ნოდარ მელაძის შაბათმა“ 12 წლის ბიჭის გაუპატიურების ბრალდებით დაკავებული 40 წლის მამაკაცის აღიარებითი ჩვენება მოიპოვა.

„გუშინ მასთან სახლში მივედი. დავწექით ერთ საწოლში. მალევე მე ჩავიხადე შარვალი და ვცდილობდი სექსუალური კავშირის დამყარებას 12 წლის ბიჭთან. მის მამას გვერდით საწოლზე ეძინა და რომ არ დავენახეთ, გადაფარული გვქონდა საბანი. ამ დროს, მოულოდნელად, მამამ საბანი გადაგვხადა და ყველაფერი დაინახა“ – წერს დაკავებული პოლიციისთვის მიცემულ ჩვენებაში.

ნანახის შემდეგ მამა მოძალადეს ფიზიკურად გაუსწორდა, 12 წლის ბიჭი კი სახლიდან გაიქცა.

„ბიჭის მამა გვიყვიროდა, როდესაც არასრულწლოვანმა გაქცევა მოასწრო. კაცმა კი დანა აიღო და მოკვლით მემუქრებოდა. მიყვიროდა, რატომ ვამყარებდი მის არასრულწლოვან შვილთან სქესობრივ კავშირს. შემდეგ მითხრა, რომ პოლიციაში დარეკავდა, თუმცა მანამდე მეზობელთან გაყოლა მომთხოვა. თავიდან შემეშინდა, შემდეგ გავყევი. გამოიძახეს პოლიცია – მე მათ სიმართლე ვუთხარი და დანაშაული ვაღიარე“ – ვკითხულობთ ჩვენებაში.

40 წლის კაცი ამბობს, რომ ერთი წლის განმავლობაში დანაშაულის ადგილს კი თავად არჩევდა.

„ის ზუგდიდში გავიცანი, ჩვენ დავუახლოვდით ერთმანეთს და ხშირად დავდიოდით ერთმანეთის სახლებშიც – 2021 წლის მარიამობის დღესასწაულიდან დღემდე სექსუალური კავშირი გვქონდა არაერთხელ. მათ შორის ვადასტურებ, რომ ჩემს სახლში, ჩემი მეგობრის სახლში და თავად დაზარალებულის სახლშიც. ამის გამო თავს დამნაშავედ ვცნობ“ – წერს დაკავებული.

40 წლის კაცის დედას მისი შვილის უდანაშაულობის სჯერა და ირწმუნება, რომ სავარაუდო მსხვერპლის მამა მას სექსუალურად ავიწროებდა, რის გამოც სტუმრად მყოფ კაცს ფიზიკურადაც კი გაუსწორდა. 40 წლის მამაკაცს უვადო პატიმრობა ემუქრება.

## „გირჩი – მეტი თავისუფლების“ წევრს, გოგიტა რობიტაშვილს, თავს დაესხნენ

პარტია „გირჩი – მეტი თავისუფლების“ წევრ გოგიტა რობიტაშვილს თავს დაესხნენ და ფიზიკურად გაუსწორდნენ. პარტიაში ამბობენ, რომ რობიტაშვილი თბილისში ყრილობას ესწრებოდა, დედოფლისწყაროში დაბრუნებისას კი მას 4 ნიღბიანი დაესხა თავს და სცემა. პარტიაში მომხდარს დაშინების მცდელობად აფასებენ. თავად გოგიტა რობიტაშვილი „ფორმულასთან“ აცხადებს, რომ თავდამსხმელებს არაფერი წაუღიათ. ის ძარცვას გამორიცხავს.

# კამალა ჰარისი: „რუსეთს დავუწესებთ ისეთ სანქციებს, როგორებიც აქამდე არ გინახავთ“

– ძალიან მკაფიოდ ვაცხადებთ, რომ რუსეთმა არ უნდა ხელყოს უკრაინის სუვერენიტეტი.

ამის შესახებ აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა, კამალა ჰარისმა სიბიეს ნიუსთან ინტერვიუში განაცხადა, რითაც მან უპასუხა შეკითხვას, იქნება თუ არა ცხელი ომის ფაზა ევროპაში მომდევნო კვირების განმავლობაში.

– ჩვენ გვაქვს პირდაპირი დიალოგი რუსეთთან. პრეზიდენტი, მოგეხსენებათ, ცოტა ხნის წინ ვირტუალურად შეხვდა პუტინს და ჩვენ ძალიან მკაფიოდ ვაცხადებთ, რომ რუსეთმა არ უნდა ხელყოს უკრაინის სუვერენიტეტი, რომ ჩვენ უნდა დავიცვათ მისი ტერიტორიული მთლიანობა. ვმუშაობთ ჩვენს მოკავშირეებთან ამ კუთხით და ძალიან მკაფიოდ განვაცხადეთ, რომ მზად ვართ დავაწესოთ სანქციები, როგორებიც აქამდე არ გინახავთ, – აღნიშნა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა.

კითხვაზე, დაუწესებენ თუ არა სანქციებს უშუალოდ ვლადიმერ პუტინს, კამალა ჰარისმა უპასუხა, რომ კონკრეტულ სანქციებზე საუბარი არ სურს.

– კონკრეტულ სანქციებზე საუბარს არ ვაპირებ. გავიმეორებ, რომ სანქციების ტიპი, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, არის სანქციები, რომლებიც აქამდე არ დაგვიწესებია, – აღნიშნა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა.

# ისრაელი გოლანის მოსახლეობას გააორმაგებს




ისრაელმა გოლანის მაღლობზე ებრაელ ახალმოსახლეთა რაოდენობის გაორმაგების მიზნით 317 მილიონი დოლარის ღირებულების გეგმა დაამტკიცა.

პრემიერ-მინისტრ ნაფტალი ბენეტის მთავრობამ მხარი დაუჭირა 5 წლის განმავლობაში რეგიონში 7.300 სახლის აშენებას.

საცხოვრებელი სახლების, ინფრასტრუქტურის შექმნისა და სხვა პროექტების შესრულებისთვის 1 მილიარდი შეკელი უნდა დაიხარჯოს, რისი მიზანიც ტერიტორიაზე დაახლოებით 23.000 ებრაელი ახალმოსახლის მიზიდვაა.

– ჩვენი მიზანია გოლანის მაღლობის მოსახლეობის გაორმაგება, – განაცხადა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ნაფტალი ბენეტმა.

ამჟამად გოლანის მაღლობზე ისრაელის დაახლოებით 25.000 ახალმოსახლე მოქალაქე ცხოვრობს.

# ავღანეთში ქალებს მგზავრობა ნათესავი მამაკაცის გარეშე ეკრძალებათ




თალიბანის გადაწყვეტილებით, ავღანეთში ქალებს შორ მანძილზე მგზავრობა ახლო ნათესავი მამაკაცის თანხლების გარეშე ეკრძალებათ.

– ქალებს, რომლებსაც 72 კმ-ზე მეტ მანძილზე გადაადგილება სურთ, არ უნდა შესთავაზონ მგზავრობა, თუ მათ არ ახლავთ ოჯახის ახლო წევრი, – განაცხადა ავღანეთის სათნოების გავრცელებისა და მანკიერების პრევენციის სამინისტროს პრესსპიკერმა აკიფ მუჰაჯირმა და დააკონკრეტა, რომ თანამგზავრი მამაკაცი უნდა იყოს.

აღნიშნული სამინისტროს გადაწყვეტილებით, მძღოლებს ავტომობილებში მუსიკის ჩართვა, ქალებს კი ტრანსპორტში ჰიჯაბის გარეშე ჯდომა აეკრძალათ.

აგვისტოში თალიბებმა ავღანეთის ტერიტორიაზე კონტროლი დაამყარეს და ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს. თალიბანმა ავღანეთი ისლამურ საამიროდ გამოაცხადა, სადაც სამოქალაქო ხელისუფლება რელიგიური კონტროლის ქვეშაა.

დასავლეთის ქვეყნები თალიბანს ავღანეთის კანონიერ ხელისუფლებად არ აღიარებენ და აცხადებენ, რომ მასთან მომავალი თანამშრომლობა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ დაიცავენ ავღანეთში ადამიანის უფლებებს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# 11 წლის ბიჭმა ერთ დღეში ქალი ხანძარში დაღუპვას, ხოლო მოსწავლე გაგუდვას გადაარჩინა




ამერიკის ოკლაჰომას შტატის მკვიდრმა მეექვსეკლასელმა მოსწავლემ ერთ დღეში ორი ადამიანი დაღუპვას გადაარჩინა.

დეკემბრის დასაწყისში 11 წლის დეივიონ ჯონსონმა დახმარება აღმოუჩინა მოსწავლეს, რომელსაც ყელში ბოთლის თავსახური გაეჭედა. ამისთვის მან გეიმლიხის მეთოდი გამოიყენა: ბიჭს უკნიდან შემოხვია ხელები და მთელი ძალით დააწვა მუცელზე, რათა თავსახური პირიდან გამოვარდნილიყო. იმავე დღის საღამოს ჯონსონმა ხანძარი შენიშნა და ალმოდებული სახლიდან ქალი გამოიყვანა.

ამ ყოველივეს შედეგად მეექვსეკლასელმა მოსწავლემ სკოლის საბჭოსგან ჯილდო მიიღო გამოჩენილი მამაცობისთვის. გარდა ამისა, მისი ქმედება სათანადოდ დააფასეს ქალაქის პოლიციის დეპარტამენტსა და ადგილობრივი შერიფის ოფისში, რომელთაც მას პოლიციის საპატიო ოფიცრის და შერიფის საპატიო თანაშემწის სერტიფიკატი გადასცეს.

# საიდუმლოებით მოცულმა ფულის დამრიგებელმა მოსახლეობა საგონებელში ჩააგდო



იაპონიის ქალაქ ოსაკას ერთ-ერთი ქუჩის მცხოვრებლები საგონებელში ჩავარდნენ მას შემდეგ, რაც საფოსტო ყუთებში უცნობი პირის მიერ ჩაგდებული კონვერტები აღმოაჩინეს, რომლებშიც სხვადასხვა ოდენობის თანხა იყო ჩადებული.

პირველმა ყავისფერი კონვერტი, ყოველგვარი მისამართის გარეშე, ერთ-ერთმა მცხოვრებმა რამდენიმე თვის წინ ნახა. ამის შემდეგ, მალევე, ქუჩის სხვა მცხოვრებლებმაც მიიღეს ისეთივე კონვერტები. ასე გრძელდებოდა მომდევნო ორი თვის განმავლობაში.

ფული ქუჩის ორივე მხარის მცხოვრებლების საფოსტო ყუთებში ჩნდებოდა. კონვერტებში სხვადასხვა ოდენობის თანხა იდო, დაწყებული რამდენიმე ასეული იენიდან, ათი ათას იენზე მეტის ოდენობით დამთავრებული. ქუჩის ერთ-ერთმა მცხოვრებმა კი მიიღო კონვერტი, რომელშიც 13 ათასი იენი იდო.

ამგვარად დარიგებული თანხის საერთო ოდენობამ 200 ათას იენს გადააჭარბა და ეს მხოლოდ ის არის, რაც ქუჩის მცხოვრებლებმა დაადასტურეს და რომლებმაც ფულის მიღების თაობაზე პოლიციას აცნობეს. სამართალდამცავების მონაცემებით, მცხოვრებლებს თავისუფლად შეუძლიათ ამ მიღებული თანხით სარგებლობა და მათ თაობაზე პოლიციის საქმის კურსში ჩაყენების არანაირი აუცილებლობა არ არსებობს.

# პრინცმა ჰარიმ და მეგან მარკლმა თავიანთი გოგონას ფოტოსურათი პირველად გამოაქვეყნეს




პრინცმა ჰარიმ და მისმა მეუღლე მეგან მარკლმა პირველად წარმოადგინეს თავიანთი გოგონა ლილიბეტი „ლილი“ დიანა მაუნტბეტენ-უინძორი. მთელი ოჯახის საშობაო ბარათი თეამ ლუბიცონ-ის ვეტერანების ორგანიზაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, რომელიც სასექსის ჰერცოგის და ჰერცოგინიას მხარდაჭერით სარგებლობს.

გამოქვეყნებულ ფოტოსურათზე ორი წლის არჩი-ჰარისონი პრინც ჰარის უზის მუხლებზე, ხოლო ლილიბეტი მეგან მარკლს ჰყავს ხელში აყვანილი. ფოტოსურათის თანმხლებ კომენტარში ჰერცოგი და ჰერცოგინია იუწყებიან, რომ ორგანიზაციას თანხა შეწირეს და ყველას სასიამოვნო დღესასწაულებს უსურვებენ.

შეგახსენებთ, რომ პრინც ჰარის და მეგან მარკლს ლილიბეტი მიმდინარე წლის 4 ივნისს შეეძინათ კალიფორნიის სანტა-ბარბარა კოტეჯის საავადმყოფოში და ის დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-ს მე-11 შვილთაშვილი გახდა.

# სამეფო კობრამ პითონი მოკლა და გადაყლაპა

ტაილანდის პროვინცია ნაკხონსიტხამარატში გზის პირას ერთმანეთს სამეფო კობრა და პითონი დაუპირისპირდნენ. მათი ორთაბრძოლა თვითმხილველმა ვიდეოზე გადაიღო.

რეპტილიების ორთაბრძოლას თვალს ანუჩიტ პრიჩა ადევნებდა. ორი მტაცებელი სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლაში გზის პირას ჩაებნენ, ოდნავ მოგვიანებით კი გზაზე აღმოჩნდნენ.

ვიდეოჩანაწერში ჩანს, თუ როგორ შემოეხვია თავისი მძლავრი სხეულით პითონი კობრას და მის გაგუდვას ცდილობს, მაგრამ მოწინააღმდეგემ მისთვის კისერზე კბენა მოასწრო.

– გველები საკუთარი სიცოცხლისთვის და შესაძლოა შიმშილის გრძნობის დასაკმაყოფილებლადაც იბრძოდნენ. ძალიან გამიმართლა, ასეთ მოვლენას რომ შევესწარი, – განაცხადა პრიჩამ.



კობრამ მოახერხა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში გაეძლო პითონის მარწუხებისთვის, რათა მის სასიკვდილო შხამს მოქმედება დაეწყო და მოწინააღმდეგე დაესუსტებინა. შედეგად პითონმა ძალა დაკარგა და მოკვდა, რის შემდეგაც კობრამ ის მთლიანად გადაყლაპა.

# მამაკაცი საყვარელ სავარძელში არ ჩაჯდა და ბრმა ტყვიას გადაურჩა



ამერიკის ალაბამას შტატის ქალაქ ფოლის მკვიდრმა საკუთარ ძველ ჩვევას უღალატა, არ ჩაჯდა თავის საყვარელ სავარძელში და ბრმა ტყვიას გადაურჩა.

სახლის დიასახლისმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, განაცხადა, რომ სასტუმრო ოთახში საყვარელ მამაკაცთან ერთად იჯდა. მოულოდნელად მათ უცნაური ხმა შემოესმათ.

– როგორ სასაცილოდაც არ უნდა ჟღერდეს, ვიფიქრეთ, რომ მოჩვენებამ ძაღლის ბინის კარი მიაჯახუნა. ნახევარი საათის შემდეგ ქვევით დავიხედე და ბალიშის ქვევიდან რაღაც გამოვაძვრინე. ეს რაღაც ტყვია აღმოჩნდა, – განაცხადა ქალმა.

მისი თქმით, ტყვია შემოსასვლელი კარიდან შემოვარდა და პრაქტიკულად მთელი ბინა გაიარა. იატაკმა აისხლიტა, ძაღლის ბინა გაიარა, რის შემდეგაც მისი პარტნიორის საყვარელი სავარძლის ბალიშში გაიჭედა.

– ახლა გაოგნებული ვარ და თავს ისე ვგრძნობ, თითქოსდა ზურგზე სამიზნე მქონდეს დახატული. როდესაც ტყვია შენი სახლის შემოსასვლელ კარს ხვდება, სხვა ვერაფერზე იფიქრებ, – განაცხადა ქალმა.

– მე და ჩემი შეყვარებული მუდამ იმას აღვნიშნავთ, რომ ეს მისი სავარძელია, იმ საღამოს კი ის მასში არ ჩაჯდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ტყვია მას თავში ან ყელში მოხვდებოდა, – ხაზგასმით აღნიშნა სახლის დიასახლისმა.

ადგილობრივი პოლიციის მონაცემებით 17-კალიბრიანი იარაღიდან ისროლეს. ჯერჯერობით სამართალდამცავებისთვის უცნობია, ვინ და რისთვის განახორციელა აღნიშნული გასროლა.

# ქალმა მშობიარობაზე ძაღლის დასწრება მოისურვა



დიდ ბრიტანეთში ქალმა თავისი საყვარელი ძაღლი მალტური ბალონკა სახელად ფლამპი 50-საათიან მშობიარობაზე დასასწრებად მიიწვია.

29 წლის შარლოტ ბირდმა განაცხადა, რომ კრუნჩხვები ტანჯავს, ხოლო ფლამპს სპეციალური კურსი აქვს გავლილი კრუნჩხვების დაწყების ნიშნების ამოსაცნობად. ამიტომ მან გადაწყვიტა, რომ თავს უფრო მშვიდად იგრძნობს, თუ ძაღლი მშობიარობას დაესწრება და მისი საპასუხისმგებლო დღისთვის მომზადებას შეუდგა.

ძაღლს ჩაურთეს ახალშობილის ტირილის ჩანაწერი, რათა ის ახალ ხმებს შეეჩვიოს. მას გააცნეს საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილების პერსონალი, ასევე აჩვენეს მთელი მოწყობილობა, რომელიც მშობიარობის დროს შესაძლოა იქნეს გამოყენებული. ფლამპი პატრონს ექიმთან ყველა ვიზიტზე თან დაყვებოდა.

მშობიარობის დღეს ძაღლი მოთმინებით იჯდა პატრონის გვერდით და თვალს ადევნებდა მის მდგომარეობას.

– ფლამპი რომ არ ყოფილიყო გვერდით, ძალიან ვინერვიულებდი, – აღნიშნა ბირდმა.

საბოლოოდ ქალმა 50 საათის შემდეგ ბიჭი გააჩინა, რომელსაც სახელად ალფი დაარქვეს. ბირდის მტკიცებით, ფლამპი ნახვის პირველივე წუთებიდან მოიხიბლა ბავშვით.

# პროფესორმა ყოფილი მოსწავლისგან ფოსტით ფულით სავსე ყუთი მიიღო

ნიუ-იორკის საქალაქო კოლეჯის ფიზიკის პროფესორმა ფულით სავსე მუყაოს ყუთი მიიღო, რომელიც მას მადლიერების ნიშნად წარმატებამიღწეულმა მისმა ყოფილმა მოსწავლემ გამოუგზავნა.

ფიზიკის ფაკულტეტის დეკანი ვინოდ მენონი ნიუ-იორკის ქალაქის კოლეჯში ცოცხლად ლექციის გამართვას დაუბრუნდა და სარეკლამო ფურცლები და უცნაური მუყაოს ყუთი აღმოაჩინა. გზავნილის გახსნის შემდეგ პროფესორმა აღმოაჩინა, რომ კოლოფი პირთამდე 50 და 100-დოლარიანი კუპიურებით იყო სავსე. საერთო ჯამში კი, ყუთში 180 ათასი დოლარი აღმოჩნდა.

– ამ რაოდენობის ნაღდი ფული ერთად არასოდეს მინახავს. ასეთი რამ მხოლოდ კინოში მაქვს ნანახი, ასე რომ, მის დანახვაზე გაოგნებული დავრჩი და არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, – განაცხადა პროფესორმა. ყუთში, ფულის გარდა, აღმოჩნდა მისი ყოფილი მოსწავლის წერილი, რომელმაც ჯერ მაგისტრის ხარისხი მიიღო ფიზიკის დარგში, შემდეგ კი ფიზიკის და ასტრონომიის დოქტორის ხარისხი.



წერილში ყოფილმა მოსწავლემ აღიარა, ხვდება, რომ პროფესორი „ცოტათი გაოგნებული“ იქნება და განმარტა, რომ გადაწყვიტა ქველმოქმედების ნიშნად შეეწირა თანხა შესანიშნავი განათლების მიღებისთვის და რომ კოლეჯის წყალობით მოახერხა აეწყო ხანგრძლივი, ნაყოფიერი და საზოგადოებისთვის მეტად სასარგებლო სამეცნიერო კარიერა.

ფულის შემომწირველმა ითხოვა, რომ მის მიერ გაღებული თანხა ყველა იმ გაჭირვებულ სტუდენტს გაუნაწილდეს, რომლებიც ფიზიკის და მათემატიკის შესწავლით არიან დაკავებულები. სკოლის ზედამხედველმა საბჭომ გადაწყვიტა, ეს შემოწირულობა მიეღო და ორი სტიპენდია დააწესა გაჭირვებული სტუდენტებისთვის.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

# თსუ-მ ქუთაისს ერთპიროვნული ლიდერობა დაუთმო

**ქუთაისი-ოლიმპი 94:82**
(29:21, 24:27, 16:18, 25:16)

ქუთაისმა ოლიმპს თბილისის ოლიმპიურ სასახლეში უმასპინძლა. დიახ, რიონისპირული გუნდი ამ შეხვედრაში მასპინძლად ითვლებოდა, რადგან კალენდრის მიხედვით მეტოქისთვის ქუთაისში უნდა ემასპინძლა, მაგრამ ეს დარბაზის გაუმართაობის გამო ვერ მოახერხა. ამიტომ, სუპერლიგის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით მატჩი თბილისში გამართა. ამ გუნდებს შორის მე-2 წრის შეხვედრაც თბილისში გაიმართება და მასპინძელი, ცხადია, ოლიმპი იქნება.

ქუთაისელებისთვის საკუთარი ქალაქის გარეთ თამაშს ხელი არ შეუშლია, ისე მობილიზებით, შემართებით და მიზანდასახულად გამოიყურებოდნენ. კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა გუნდმა სუპერლიგაში პირველი მარცხი წინა ტურში ტიტებთან იგემა და მომდევნო თამაშშივე დაამტკიცა, რომ ეს იყო შემთხვევითობა. იმერულ კლუბს ჩავარდნა არ აქვს, რადგან საკმაოდ მძლავრ და ამბიციურ ოლიმპს თბილისში ერთი ამოსუნთქვით აჯობა.

ოლიმპს ცუდად არ დაუწყია – 9:3 იგებდა, მაგრამ ქუთაისმა იოლად იპოვა საკუთარი თამაში და მეტოქე ჩამოიტოვა. იმერულ კლუბს გიორგი კორსანტია ლიდერობდა, რომელიც მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე მრისხანე მეფარეა. საქართველოს ნაკრების წევრმა რიონისპირელებს სამწამიანში დიდი უპირატესობა მოუტანა – კორსანტია მოსახსნელს ხსნიდა და ჩასაგდებს აგდებდა. ქართველ კალათბურთელს ლეგიონერებიც ეხმარებოდნენ – უკანა ხაზიდან ადრიან ბოუი ხელს აშველებდა, ხოლო წინა ხაზში კორსანტიას ჯარვის რეი პარტნიორობდა.

ქუთაისელები ხელჩასაჭიდად გალიდერდნენ, ოლიმპელები კი მდევრის როლში იყვნენ და მეტოქეს ბოლო პერიოდში წამოეწივნენ, როდესაც კახა ჯინჭარაძის, ბუნდუ აბდულაის, დავით ლომიძისა და ლუკა კალატოზიშვილის ქულებით ანგარიში გაათანაბრეს. აქ ქუთაისელებს მე-2 სუნთქვა გაეხსნათ და მეტოქეს ისე გაექცნენ, მიუწვდომელნი გახდნენ და საბოლოოდ გამარჯვებამდეც იოლად მივიდნენ – 94:82.

მატჩის გმირმა გიორგი კორსანტიამ შეხვედრა 27 ქულით, 15 მოხსნითა და 3 ჩაჭრით დაასრულა. 15 ქულა და 7 მოხსნა ჯარვის რეიმ მოაგროვა, ადრიან ბოუის ანგარიშზე კი 13 ქულა და 8 პასი დაგროვდა. ლევან გრძელიძემ 16 ქულა მიითვალა. ოლიმპში 22 ქულით საუკეთესო იყო კახა ჯინჭარაძე, ხოლო 14 ქულა 3-მა კალათბურთელმა – ლუკა კალატოზიშვილმა, ბუნდუ აბდულაიმ და დავით ლომიძემ დააგროვეს.

**თსუ-ცხუმი 68:79**
(20:21, 11:19, 14:21, 23:18)

მიმდინარე სეზონში მხოლოდ 1 წაგების მქონე უნივერსიტეტელები ბოლო 4 მატჩში დამარცხებულ ცხუმ-აფხაზეთს შეხვდნენ, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს. ამ გამარჯვებით ცხუმ-აფხაზეთმა უიღბლო სერია შეწყვიტა და ცხრილში მდგომარეობა შედარებით გამოისწორა.

თანაბარი პირველი პერიოდის შემდეგ ცხუმელებმა უპირატესობა მოიპოვეს. ირაკლი ძიძიგურის გაწვრთნილ გუნდს ცენტრი გიორგი შარაბიძე აკლდა, მაგრამ პერიმეტრიდან და სწრაფი გარღვევებით კარგად ხეირობდა. ცხუმელთა რიგებში დებიუტი ჰქონდა უკანახაზელ მარქილ სმიტს, რომელიც ძალიან შედეგიანად თამაშობდა და თანაგუნდელებიც აიყოლია და მე-2 პერიოდის 19:11 მოგებით დიდ შესვენებაზე 9-ქულიანი ლიდერობით გავიდა.



დიდი შესვენების შემდეგ მოედანზე ვითარება არ შეცვლილა. ცხუმ-აფხაზეთის მოთამაშეებმა სისწრაფეს უმატეს, თსუ-ს ერთ-ერთმა მთავარმა იარაღმა – შორმა სროლებმა არ გაუმართლა და მე-3 პერიოდში ძიძიგურის გუნდი კიდევ უფრო დაწინაურდა. ბოლო პერიოდში ცხუმ-აფხაზეთის ლიდერობამ 17 ქულას მიაღწია, თამაში დასრულებამდე კი, 5 წუთი რჩებოდა და უნივერსიტეტელებს მატჩის გადასარჩენად არც დრო დარჩათ და არც ძალა.

საბოლოოდ, 79:68 ცხუმ-აფხაზეთის სასარგებლოდ, რაშიც ლომის წილი 17 ქულის, 8 მოხსნისა და 3 დაფარების მომგროვებელ სმიტს მიუძღვის. 13 ქულა ჰქონდა ალექსანდრ პიკოკს, ხოლო 12 – ტაილერ გრინს. თსუ-ში 17 ქულით ბომბარდირი გახდა რაილ ოუენსი, 14 ქულა ნიკა დარბაიძემ, ხოლო 13 – ლოველ ქაბილმა მიითვალეს.

**ბათუმი-ტიტები 96:83**
(28:15, 21:19, 28:25, 19:24)

ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა აჭარულმა კლუბმა ბოლო ტურებში ხმაურიანი გამარჯვებების მომპოვებელი ტიტები დაამარცხა – 96:83. ზღვისპირელებმა მეტოქეს ისე მოუგეს, წარმატების მიზერული შანსიც არ მიუციათ.

არადა, ტიტები მოსაგებად შემართული ჩავიდა აჭარაში და ამის მიზეზი ბესო ლეჟავას გაწვრთნილ გუნდს ნამდვილად ჰქონდა. ტიტებმა ხომ ბოლო 2 ტურში ჯერ რუსთავში იმარჯვა, ხოლო გასულ შაბათს სუპერლიგის დაუმარცხებელ ლიდერ ქუთაისს პირველი წაგება აგემა.

ამ შედეგების ფონზე, ბათუმში საკმაოდ დაძაბული ბრძოლა ივარაუდებოდა, რომელიც არ შედგა. რთული სათქმელია, ქომაგების მხურვალე მხარდაჭერა იყო თუ არა ამის მიზეზი, თუმცა ფაქტია, რომ დარბაზი მაყურებლებით გაივსო და ბათუმელებს მთელი თამაშის განმავლობაში უდიდესი მხარდაჭერა ჰქონდათ. კალათბურთელებმაც ბათუმელ ქომაგებს ხურდა იმით დაუბრუნეს, რომ მძლავრი მეტოქე იოლად დაამარცხეს და მაყურებელს, ფაქტობრივად, არც უნერვიულია.

პირველი პერიოდი მასპინძლებმა 28:15 მოიგეს, მეორეში 21:19 იმარჯვეს და როცა მესამეში ლიდერობას 3 ქულა წაამატეს, გადამწყვეტი ათწუთეულის წინ მატჩის ბედი გარკვეული იყო – ბათუმი 18 ქულით იგებდა და ტიტები ამ სხვაობის გამაბათილებელს არ ჰგავდა. საბოლოოდ თბილისურმა კლუბმა ჩამორჩენა მცირედით შეამცირა და შეხვედრა 13 ქულის სხვაობით დათმო.

მასპინძელთა გამარჯვება გუნდური შრომის შედეგი გახლდათ. ბათუმელებს გამორჩეული ლიდერი არ ჰყოლიათ. 15 ქულითა და 9 მოხსნით საერთო სარგებლიანობის ყველაზე მაღალი შედეგი (21) ბექა ბექაურმა დააფიქსირა. შემდეგ მოდის საბა ლობჟანიძე 14 ქულა, 6-6 მოხსნა და პასი. 16 ქულა და 7 მოხსნა დენის მავინმა მიითვალა, სოსო გოგნაძის ანგარიშზე კი, 13 ქულა და 10 მოხსნა დაგროვდა. ტიტებში 13 ქულითა და 11 მოხსნით საუკეთესო იყო ჯავიონ ოგუნიემი. 14 ქულა ლევან ბაბილოძემ მოაგროვა.

ეს გახლდათ ბათუმელთა ზედიზედ მე-4 გამარჯვება სუპერლიგაში და ამ წარმატებული სერიის შემდეგ ბერიშვილის გუნდმა ცხრილში მე-4 ადგილამდე აინაცვლა.

**რუსთავი-დინამო 82:76**
(18:25, 22:15, 17:19, 25:17)

რუსთავში გამართული შეხვედრა დაძაბული გამოდგა. ლიდერი 18-ჯერ შეიცვალა, ხოლო თანაბარი ანგარიში 11-ჯერ დაფიქსირდა. სუპერლიგაში ერთადერთი გამარჯვების მქონე დინამო მასპინძელს ბოლომდე გმირულად ებრძოლა, მაგრამ გამარჯვებამდე ძალიან მცირედი დააკლდა. ჟოლივეტ ტუჯანის გაწვრთნილი გუნდი დროის უმეტეს წილს იგებდა, მაგრამ...

რუსთაველებისთვის ეს იყო 2021 წლის ბოლო საშინაო თამაში და მაყურებლებით შეგულიანებულებმა გადამწყვეტ წუთებში განსაკუთრებულად მოინდომეს. აღსანიშნავია ახალგაზრდა გუგა პატაშურის შედეგიანობა, რომელმაც სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ბოლო წუთებზე მედგარი დაცვის ხარჯზე რუსთაველებმა მეტოქეს არ ჩააგდებინეს, თავად კი შეტევაში იხეირეს და საბოლოოდ 82:76 გაიმარჯვეს.

გამარჯვებულთა შორის 22 ქულით, 6 მოხსნითა და 5 პასით საუკეთესო იყო კრისტიან კილინგი. გუგა პატაშურმა 18 ქულა, 7 მოხსნა და 3 ჩაჭრა მიითვალა. იშმაელ ჰოლისმა და ლუვეინ პიკინსმა 12-12 ქულა მიითვალეს. დინამოში 15-15 ქულით საუკეთესოები იყვნენ ბენჯამინ ქოლეჯი და რაჰსან უილიამსი.

**მეგა-კაქტუსი 88:64**
(27:19, 23:20, 18:17, 20:8)

სუპერლიგის დებიუტანტ მეგაში დებიუტი გუნდის 2 ახალ წევრს ჰქონდა – მთავარ მწვრთნელ ნიკოლოზ ჩერქეზიშვილსა და აფრიკული ფესვების მქონე ავსტრალიელ ცენტრ დენგ აკუთის. მეგამ 24 ქულით მოიგო, ახალმა ლეგიონერმა კი, რომელიც 211 სანტიმეტრი სიმაღლის კვალობაზე ძალიან სწრაფი, მოქნილი და მიზანში მტყორცნელია, შეხვედრა 13 ქულით, 19 მოხსნითა და 3 დაფარებით დაასრულა. აკუთის სარგებლიანობის ინდექსმა 33 შეადგინა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეგას მწვრთნელსაც და კალათბურთელსაც ბრწყინვალე დებიუტი გამოუვიდათ.

არადა, მეგას ზედიზედ 5 მატჩი ჰქონდა წაგებული და მოგება ჰაერივით სჭირდებოდა. თავის მხრივ, კაქტუსიც აუტსაიდერებშია. ქულებიც თანაბრად ჰქონდათ და წარმატების შემთხვევაში, გამარჯვებული ცხრილის შუისკენ აიწევდა.

მეგამ ძალიან სწრაფი კალათბურთი ითამაშა. როგორც სწრაფი გარღვევებით, ისე შორი სროლებით ჩერქეზიშვილის გაწვრთნილი კალათბურთელები შეუჩერებლები იყვნენ. პირველი პერიოდი მეგამ 27:19 მოიგო, მე-2 – 23:20 და დიდი შესვენებაზე ხელსაყრელი ლიდერობა დაიბევა.

შესვენების შემდეგ მეგას კალათბურთელებმა ტემპი არ დააგდეს და თამაში ისე ჩამთავრდა, მათ ლიდერობას საფრთხე არ დამუქრებია. საბოლოოდ სუპერლიგის დებიუტანტმა 88:64 იმარჯვა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ქუთაისი | 9 | 8 | 1 | 836-705 | 17 |
| 2.თსუ | 9 | 7 | 2 | 743-679 | 16 |
| 3.ვერა | 9 | 7 | 2 | 773-785 | 16 |
| 4.ბათუმი | 9 | 5 | 4 | 780-743 | 14 |
| 5.ოლიმპი | 9 | 5 | 4 | 732-703 | 14 |
| 6.ტიტები | 9 | 4 | 5 | 732-715 | 13 |
| 7.რუსთავი | 9 | 4 | 5 | 725-757 | 13 |
| 8.ცხუმი | 9 | 4 | 5 | 722-740 | 13 |
| 9.მეგა | 9 | 3 | 6 | 696-736 | 12 |
| 10.კაქტუსი | 10 | 2 | 8 | 731-814 | 12 |
| 11.დინამო | 9 | 1 | 8 | 745:838 | 10 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# რაგბის კავშირმა 2022 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა

თბილისი „მარიოტში“ საქართველოს რაგბის კავშირის მორიგი საერთო კრება (ყრილობა) გაიმართა, რომელსაც 36 ნამდვილი წევრიდან 33 დაესწრო. აღსანიშნავია, რომ ნამდვილ წევრთა სიას სარაგბო კლუბი ავჭალა დაემატა (ერთი ხმის უფლებით).

ქვეყანაში არსებული კოვიდ-პანდემიის გათვალისწინებით, საერთო კრებაზე (ყრილობაზე) დასწრების უფლება ნამდვილი წევრის (დელეგატის) მხოლოდ ერთ პირს, ან უფლებამოსილი პირის წარმომადგენელს ჰქონდა.

ყრილობა ვეტერანი მორაგბეების დაჯილდოებით დაიწყო. ისინი ვეტერან მორაგბეთა კავშირის პრეზიდენტმა ავთანდილ ღიბრაძემ წარადგინა, რაგბის კავშირის პრეზიდენტმა იოსებ ტყემალაძემ და გამგეობის თავმჯდომარე დავით კაჭარავამ სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

ეს ვეტერანი მორაგბეები არიან: გივი მრელაშვილი, გოგი ტონია, გია ჯაფარიძე, გელა მიქაბერიძე, თენგიზ რუხაძე, ნოდარ კაჭარავა, ვალტერ კაპანაძე, ირაკლი კიზირია, რომეო ღვინიაშვილი, მურადი თოფურიძე, გემენი ღადუა, გივი ფაჯიშვილი, სერგო კეშელავა, რამაზ სვანიძე, ოთარ ალავიძე, თენგიზ გულვერდაშვილი, სულიკო ტყეშელაშვილი, დავით რეხვიაშვილი, გიზო ცქიტიშვილი, ზურაბ ცერცვაძე და გოგი ყუფარაძე.

ამის შემდეგ რაგბის კავშირის პრეზიდენტმა იოსებ ტყემალაძემ დელეგატებს განვლილი თვეების ანგარიში ჩააბარა. მან იმ მიღწევებზე ისაუბრა, რასაც რაგბის კავშირმა ამ პერიოდში მიაღწია:

დაგროვილი დავალიანების შემცირება; რაგბის კავშირის ბიუჯეტის (2021 წლის) 10 მილიონი ლარით გაზრდა; რაგბის კავშირის სტრუქტურული ცვლილებები; სახელმწიფოსთან ერთად 100 მოედნის პროექტი, რომელთა ნაწილის დაპროექტება-მშენებლობა უკვე დაწყებულია; ფრენჩაიზი შავი ლომი; ახალი სარაგბო „ბესტსელერი“ ჟურნალი ქართულ და ინგლისურ ენებზე; რაგბი ტივი, რომელმაც ახალი სიცოცხლე შეიძინა, გაუმჯობესდა მისი გადაცემების ხარისხი და მომავალშიც არაერთი სიახლის შემოტანა იგეგმება; სატელევიზიო სერიალი – „ის ბიჭები“, რომელსაც მამა-შვილი თემურ და გელა ბაბლუანები ქართული რაგბის ისტორიაზე გადაიღებენ და 3 სეზონში, 24 სერიაში გააცოცხლებენ იმ მოვლენებს, რომელიც ქართულმა რაგბმა გაიარა; შიდა ჩემპიონატების ხარისხის ამაღლება. დღის წესრიგის თანახმად, იოსებ ტყემალაძემ დელეგატებს მეორე საკითხად რაგბის კავშირის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი წარუდგინა. საუბარი შეეხო რაგბის კავშირსა და პოტენციურ პარტნიორებთან ურთიერთობას. მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ კომპანიებთან. დელეგატებმა ბიუჯეტი, რომელიც 27.500.000 ლარს შეადგენს, ერთხმად დაამტკიცეს.

ყრილობის ბოლოს იოსებ ტყემალაძემ დელეგატებს აჭარის რაგბის ფილიალის აღდგენასთან დაკავშირებით მიაწოდა ინფორმაცია და მათ მისი ხელმძღვანელი ილია ვერძაძე წარუდგინა. ეს იყო გაცნობითი სახის შეხვედრა და ბატონმა ილიამ დამსწრეებს ის სიახლეები გააცნო, რომლებიც აჭარის რეგიონში იგეგმება.

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა იოსებ ტყემალაძემ, საერთო კრების მონაწილეებს მადლობა გადაუხადა თბილი და სამუშაო გარემოსთვის. მან ქართულ სარაგბო თემს მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი, ყველას უსურვა ჯანმრთელობა, მხნეობა და მომავალი გამარჯვებებით ერთად გახარება.

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ძვირფასი ქვა, რომელზედაც ამოკვეთილია წარწერა ან ორნამენტი; 2. ქათმისებრთა ოჯახის ფრინველი; 3. უელსის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 5. ორსახოვანი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 6. რაიონული ცენტრი კახეთში; 9. მწერების შემსწავლელი მეცნიერი; 10. ატმოსფეროს ზედა ნაწილი; 11. ფრანგი ბარონი, ოლიმპიური თამაშების დამფუძნებელი; 14. აღმოსავლური ხელჩართული ორთაბრძოლის ერთ-ერთი სახეობა; 16. ოპერა „სევილიელი დალაქის“ მუსიკის ავტორი; 18. აეროპორტი თელ-ავივში.

**თარაზულად:** 1. სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი თბილისში; 4. სასჯელი ქურდობისათვის ძველად საქართველოში; 7. ზღვისპირა კურორტი პოლონეთში; 8. სახელმწიფო ბალტიისპირეთში; 12. ხელოვნური მარმარილო; 13. ტერიტორიული ერთეული რუმინეთში; 15. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 17. ნიკო ლომოურის მოთხრობა; 19. რუსეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 20. ავსტრალიური ველური ძაღლი; 21. აეროპორტი ნიუ იორკში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მიკიტანი; 2. იკებანა; 3. ოდესა; 4. ალაბამა; 5. ჰორაციო; 10. მაკიზარი; 11. მენეჯმენტი; 12. ტრამვაი; 15. სტივიდორი; 16. აპათია; 17. წუმწუმა; 20. ოპელი.

**თარაზულად:** 6. ნიკორწმინდა; 7. პლუტოსი; 8. კრახუნა; 9. ტანინი; 13. ბორა; 14. ცეზარი; 18. იმუნიტეტი; 19. ცურვა; 21. შპიგი; 22. მაინცი; 23. დალტონიკი; 24. ქრისტინე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ფიცი; 2. აგუნა; 3. ბზიფი; 5. ლუხუნი; 6. ფეთხაინი; 9. ქსენოფობია; 10. ბარომეტრი; 11. კატალონია; 14. ოდა; 16. კალასი; 18. ზმნა.

**თარაზულად:** 1. ფიგარო; 4. ფალსტაფი; 7. სულორი; 8. ფერხული; 12. ტესლა; 13. ბოლიდი; 15. კოპალა; 17. შოუ; 19. ჟანდარმერია; 20. განდი; 21. ფაშატი.

# შედეგები

## 26 დეკემბერი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვესტ ჰემი-საუთჰემპტონი ............ 2:3
სიტი-ლესტერი ............ 6:3
ნორვიჩი-არსენალი ............ 0:5
ტოტენჰემი-კრ.პალასი ............ 3:0
ასტონ ვილა-ჩელსი ............ 1:3
ბრაიტონი-ბრენტფორდი ............ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 19 | 15 | 2 | 2 | 50-12 | 47 |
| 2.ლივერპული | 18 | 12 | 5 | 1 | 50-15 | 41 |
| 3.ჩელსი | 19 | 12 | 5 | 2 | 42-13 | 41 |
| 4.არსენალი | 19 | 11 | 2 | 6 | 32-23 | 35 |
| 5.ვესტ ჰემი | 18 | 8 | 4 | 6 | 30-24 | 28 |
| 6.ტოტენჰემი | 16 | 9 | 2 | 5 | 21-19 | 29 |
| 7.მანჩესტერი | 16 | 8 | 3 | 5 | 26-24 | 27 |
| 8.ვულვზი | 18 | 7 | 4 | 7 | 13-14 | 25 |
| 9.ბრაიტონი | 17 | 5 | 8 | 4 | 16-17 | 23 |
| 10.ლესტერი | 17 | 6 | 4 | 7 | 30-33 | 22 |
| 11.ასტონ ვილა | 18 | 7 | 1 | 10 | 24-28 | 22 |
| 12.კრ.პალასი | 18 | 4 | 8 | 6 | 24-27 | 20 |
| 13.ბრენტფორდი | 17 | 5 | 5 | 7 | 21-24 | 20 |
| 14.საუთჰემტონი | 18 | 4 | 8 | 6 | 19-28 | 20 |
| 15.ევერტონი | 17 | 5 | 4 | 8 | 21-29 | 19 |
| 16.ლიდსი | 18 | 3 | 7 | 8 | 18-36 | 16 |
| 17.უოტფორდი | 16 | 4 | 1 | 11 | 21-31 | 13 |
| 18.ბარნლი | 15 | 1 | 8 | 6 | 14-21 | 11 |
| 19.ნიუკასლი | 18 | 1 | 7 | 9 | 18-41 | 10 |
| 20.ნორვიჩი | 18 | 2 | 4 | 12 | 8-39 | 10 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

მიდლსბრო-ნოტინგემი ............ 2:0
ჰადერსფილდი-ბლექპული ............ 3:2

**ბელგია. ა დივიზიონი**

სერკლი-ბრიუგე ............ 2:0
სტანდარდი-ვარეგემი ............ 0:1
სენ ჟილუა-გენტი ............ 0:0
ოსტენდე-გენკი ............ 0:4

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სტ.ჯონსონი-სელტიკი ............ 1:3
აბერდინი-დანდი ............ 2:1
დ.იუნაიტედი-ჰიბერნიანი ............ 1:3
მოზერველი-ლივინგსტონი ............ 2:1
რეინჯერსი-სტ.მირენი ............ 2:0
ჰართსი-როსი ............ 2:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

რიზე-გაზიანთები ............ 0:1
ალანია-ქარაგუმრუქი ............ 1:1
გიოზთეფე-ადანა ............ 1:1
ფენერბახჩე-მალათია ............ 2:0

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

28 დეკემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0789

ევრო — 3.4853

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1285

100 რუსული რუბლი — 4.1890

## ამინდის პროგნოზი 28 დეკემბრისათვის




## ხავის ბარსელონაში ახალი ფეხბურთელები სურს



ბარსელონას მთავარ მწვრთნელს ხავის გუნდში რამდენიმე ახალი ფეხბურთელის ხილვა სურს და განსაკუთრებით ის დაცვის ხაზის გაძლიერებაზე ფიქრობს.

ბარსელონა შეეცდება, ვალენსიას მცველი ხოსე გაია შეიძინოს, რომელსაც უკვე რამდენიმე წელიწადია, აკვირდება კატალონიური გუნდი.

გაიას გარდა, ბარსელონა კიდევ რამდენიმე ვარიანტს განიხილავს.

## კლოპი: „კორონავირუსმა პრობლემები შეგვიქმნა“



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ კორონავირუსმა მის გუნდს ბევრი პრობლემა შეუქმნა და მას მოუწია რამდენიმე სწრაფი გადაწყვეტილების მიღება.

კლოპმა ასევე აღნიშნა, რომ ვირუსის გამო მის გუნდში დაძაბული ატმოსფეროა:

– ბოლო პერიოდში რამდენიმე ფეხბურთელს ჰქონდა კორონავირუსი და ამ გარემოებამ ბევრი პრობლემა შეგვიქმნა, თუმცა ჩვენ მაინც მოვახერხეთ და კარგი შედეგი ვაჩვენეთ, რაც ნამდვილად გმირობის ტოლფასია.

## კონტემ ტოტენჰემის თამაში შეაქო



ტოტენჰემის მთავარმა მწვრთნელმა ანტონიო კონტემ თავისი გუნდის ვესტ ჰემთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ ეს მატჩი თითქმის იდეალური იყო.

მიუხედავად ამისა, კონტემ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ტოტენჰემს ისევ აქვს სამუშაო:

– რაც მოედანზე ვიხილე, ძალიან კარგი იყო, თუმცა შეცდომებს ყოველთვის ვხედავ და იმედია, რომ შემდეგ მატჩებში ისინი ნაკლები იქნება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გაიგე, თურმე ზვიგენები ქალებს ნაკლებად ესხმიან თავს.

– აბა რა იქნება, სილიკონები ვის მოეწონება...

●●●

ექიმი ავადმყოფის სამედიცინო დასკვნაში წერს:

– ფსიქიკური დაავადებები არ აქვს. უბრალოდ სულელია.

●●●

ქალი მეზობლის ბიჭს ეკითხება:

– აშოტ, სად მიდიხარ?

– ავტობუსის გაჩერებაზე.

– რა, სადმე მიემგზავრები?

– არა, დედამ მთხოვა ღილები მომიტანეო...

●●●

მწვერვალზე ასული ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– შეხედე, ქვევით რა კარგი პეიზაჟია.

– ქვევით თუ ასე კარგი იყო, ნახევარი დღე ამ მწვერვალზე ამოსასვლელად რაღას მომათრევდი?!

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, სადილად რა მოგიმზადო?

– არაფერი.

– საყვარელო, ახლა უფრო მეტად მიყვარხარ.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– თუ ისეთ ქალს შეხვდები, რომელიც ყველაფერს გაპატიებს, შენ მიმართ იქნება კეთილი, ალერსიანი, ნაზი და კარგ საჭმელებსაც მოგიმზადებს, რას ეტყოდი?

– გამარჯობა, დედა...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ვერიკო ტურაშვილმა სამკერვალო გახსნა



მომღერალმა ვერიკო ტურაშვილმა „აწარმოე საქართველოს“ გრანტი მოიგო და სამკერვალო გახსნა.

„ტრიკო“ – ასე ჰქვია ბრენდს, რომელიც სამოსის ხაზით არის წარმოდგენილი. ის აერთიანებს ხალათების კოლექციას, ხელოვნური ბეწვისგან შექმნილ მოსაცმელებს, საცვლებს, ფერად პიჟამოებს.

მომღერალმა თბილისი მოლში შექმნილი პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა მოაწყო, თითოეული სამოსის წარდგენაც ითავა და გამყიდველობაც შეითავსა.

„ტრიკოს“ კოლექციამ მომხმარებელში დიდი ინტერესი გამოიწვია, ამიტომაც მომხმარებლის დიდი ინტერესის და მოთხოვნის გამო, თბილისში მოლში გამოფენა გაყიდვა რამდენიმე დღით გაგრძელდა.

## ახალციხეში გიორგი ბრწყინვალეს ძეგლი დაუდგეს



ქალაქ ახალციხეში, თამარაშვილის ქუჩის მოედანზე, საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული მეფის, გიორგი V-ის, ბრწყინვალეს, ძეგლი საზეიმოდ გაიხსნა.

საქართველოს მონღოლთა ბატონობისგან განმათავისუფლებელი მეფისთვის ძეგლზე სკულპტორმა კახა არუნაშვილმა იმუშავა.

დემეტრე II თავდადებულისა და მისი მესამე ცოლის, ნათელა ჯაყელის შვილმა თავისი გონიერებით და ნიჭიერებით საქართველოში მონღოლთა თითქმის ასწლოვანი ბატონობა დაასრულა და ისინი სამშობლოდან განდევნა.

სწორედ ამიტომ გიორგი მეხუთეს ქართველებმა ბრწყინვალე უწოდეს.

## ქორეოგრაფი ლელა მაქაცარია გარდაიცვალა



კინორეჟისორ ლევან ანჯაფარიძის მეუღლე, ქორეოგრაფი ლელა მაქაცარია მოულოდნელად გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია გია ბალაშვილმა გაავრცელა:

– კიდევ ერთი უაღრესად სამწუხარო ამბავი – მოულოდნელად გამოგვეცალა ხელიდან ჩვენი დიდი ხნის მეგობარი, შესანიშნავი ქორეოგრაფი, საყვარელი პიროვნება ლელა მაქაცარია.

რამდენი შემოქმედებითი გამარჯვება გვიზეიმია ერთად, უმნიშვნელოვანესი იყო მისი წვლილი ანსამბლ „ივერიის“ მიუზიკლების წარმატებაში. ლელა არაერთი ვერსიის დამდგმელი ქორეოგრაფი გახლდათ და თავისი დიდი ნიჭიერებით, მაღალი პროფესიონალიზმითა და უზადო შრომის კულტურით საოცრად ამდიდრებდა ალექსანდრე ბასილაიასა და ჯემალ ბალაშვილის მიერ შექმნილ ყველასათვის საყვარელ საესტრადო მიუზიკლებს.

მართლაც აუნაზღაურებელი დანაკლისია მისი ასე ნაადრევად წასვლა. ცნობილი გამონათქვამი რომაა – გულიანი ადამიანი, ხშირად გულით კვდებაო, ეს სწორედ ის შემთხვევა გახლავთ.

თანავუგრძნობ მის შესანიშნავ ოჯახს, ჩემთვის ძვირფას და ახლობელ ხალხს. ლელა მუდამ დარჩება ჩვენი შემოქმედებითი გუნდის წევრად და ჩვენს დიდ მეგობრად.

## ლიტერატურულმა პრემიამ „საბა“ გამარჯვებულები დააჯილდოვა

ლიტერატურულმა პრემიამ „საბა“ 2021 წლის საუკეთესო წიგნების ავტორები გამოავლინა.

წლევანდელი პრემიის ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ პოეტი და დრამატურგი ალექსანდრე ლორთქიფანიძე, მწერალი და დრამატურგი დავით გაბუნია, მწერალი ბესო სოლომანაშვილი, მწერალი ნესტან ნენე კვინიკაძე და მთარგმნელი თამარ ჯაფარიძე.

ჟიური 9 თვის განმავლობაში მუშაობდა და პრემიაზე წარდგენილი წიგნებიდან საუკეთესოთა ავტორები დააჯილდოვა.




ნომინაცია წლის საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი: ნანა აბულაძე რომანით „აკუმი“ და ირინა ტაბაღუა ლექსების კრებულით „ტელეფას ცხვარი“.

ნომინაცია წლის საუკეთესო პიესა: პაატა ციკოლია პიესისთვის „მედეა სეზონი 1 ეპიზოდი 6“.

ნომინაცია წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა: ნინო დიანოსაშვილი „შეშლილი სიშმაგე თუ შმაგი შეშლილობა?! ლისამანია ევრიპიდეს ტრაგედიებში“ და ნანა ტრაპაიძე „ლიტერატურა ლიტერატურის შესახებ“.

ნომინაცია წლის საუკეთესო პროზაული კრებული: გიორგი სოსიაშვილი „ოთხი მოთხრობა“.

ნომინაცია წლის საუკეთესო ქართული თარგმანი: გიორგი ლობჟანიძე ჯალალ-ედ-დინ რუმის „არსთა მესნევი“ და ანი კოპალიანი ტომას სტერნზ ელიოტის „მოხუცი ოპოსუმის წიგნი პრაქტიკული კატების შესახებ“.

ნომინაცია წლის საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა: მარიამ ხუცურაული „მარილი გემოვნებით“.

ნომინაცია წლის საუკეთესო პოეტური კრებული: ნუგზარ ზაზანაშვილი წიგნისთვის „წავა, წავა, წავა, წავა“. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ლიტერატურული პრემია „საბა“ გარდაცვლილმა ავტორმა მიიღო. როგორც ჟიურიმ განმარტა, როდესაც წიგნი „საბაზე“ წარადგინეს და გამარჯვებულიც გამოავლინეს, ნუგზარ ზაზანაშვილი ცოცხალი იყო.

ნომინაცია წლის საუკეთესო რომანი: თამთა მელაშვილი „შაშვი შაშვი მაყვალი“.

სპეციალური პრემია დააწესა ორგანიზაციამ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ისტორიის რეფლექსია ქართულ ლიტერატურაში. ამ პრემიის მფლობელები გახდნენ ბიძინა მაყაშვილი წიგნისთვის „ბლუზი მტკვრის პირას“ და ივა ფეზუაშვილი წიგნისთვის „ბუნკერი“.

ლიტერატურული პრემია „საბა“ ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის წელს პოეტმა და მთარგმნელმა გივი შაჰნაზარმა მიიღო.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 28 დეკემბრისათვის



**ვერძი** – ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებს გიმართლებთ. ჩანაფიქრის რეალიზებას საკმაოდ მარტივად მოახერხებთ. **კურო** – სამომავლო გეგმებში კორექტივები შეგაქვთ. შესაძლოა, ახალი, საინტერესო სამსახურიც იშოვოთ. **ტყუპები** – ნუ დაღონდებით, თუ მოვლენები თქვენთვის სასურველი ფორმით არ წარიმართება. ენერგიას ფუჭად ნუ დახარჯავთ. **კირჩხიბი** – სისულელეებზე არ იფიქროთ და, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, სწორი დასკვნები გააკეთეთ. **ლომი** – ჰარმონიული და მშვიდი დღეა. გელით ახალი და სასიამოვნო შეხვედრები. ფინანსებს არ უჩივით. **ქალწული** – წარმატება გელით შემოქმედებით და ფინანსურ საქმიანობაში. იყავით მოწესრიგებული და ოპტიმისტურად განეწყვეთ. **სასწორი** – კრიტიკული დღეა. სიფრთხილე გამოიჩინეთ პარტნიორთან ურთიერთობისას. **ღრიანკალი** – ნებისმიერი ახალი წამოწყება გაამართლებს. ამბიციურობა დაუშვებელია. **მშვილდოსანი** – იმპულსურობა, უტაქტობა თქვენს გეგმებზე ნეგატიურ გავლენას მოახდენს. კომპრომისზე წასვლა აუცილებელია. **თხის რქა** – პარტნიორული ურთიერთობები აქტიურ ფაზაში შედის, ოღონდ სწრაფ შედეგებს ნუ ელით. **მერწყული** – იოლად ნურავის მიენდობით. მატყუარები ცდილობენ, გაგაცურონ. ჯანმრთელობას მიხედეთ. **თევზები** – კეთილისმყოფელი დღეა ოჯახური დღესასწაულების, შემოქმედებითი შეხვედრებისათვის. საიმედო პარტნიორების ყურადღებას იპყრობთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. პორტუგალიური ვაზის ჯიში, რომლისგანაც ამზადებენ მადერას ტიპის ღვინოებს; 2. საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; 3. საშობაო სიმღერა; 4. ხორვატიის დედაქალაქი; 5. თხზულება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორი; 10. უბანი თბილისში; 11. უცხოელების, ყოველივე უცხოურის სიძულვილი; 12. წყალხმელეთა ცხოველი; 15. ფიზიკაში მაღალი სიხშირის რხევათა შეცვლა უფრო დაბალი სიხშირით რხევებით; 16. ამერიკელი პოპ-ვარსკვლავი ქალი; 17. ბეთჰოვენის ოპერა; 20. ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი.

**თარაზულად:** 6. ქართველი ფიზიოლოგი, აკადემიკოსი; 7. გერმანული ლუდი; 8. რიცხვის მეათასედი ნაწილი; 9; მსოფლიოში უმსხვილესი ალუმინის მწარმოებელი კანადური კომპანია; 13. ფრანგი მეზღაპრე; 14. შოკოლადით დაფარული ნაყინი; 18. საათების მწარმოებელი ფირმა „როლექსის“ დამფუძნებელი; 19. ფრანგი მწერალი; 21. ბირთვული კვლევების საერთაშორისო ცენტრი შვეიცარიაში; 22. ამერიკელი მოცურავე მამაკაცი, ოცდასამი ოლიმპიური ოქროს მფლობელი; 23. ჯალათის ძველი სახელწოდება საქართველოში; 24. ზღვისპირა კურორტი აჭარაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

